ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №46 (1556) 17–21 მაისი, 1997 წელი

## იცით რას ეძახიან დღეს თბილისის ციხეს? შევარდნაძის მეგობრების საერთო საცხოვრებელს



5

## ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა): ისეთ ტყუილებს წერთ, ცამ ქუხილი დაიწყოს ...

2

## რა ხდება ჯავახეთში? ისე არ წვიმს როგორც ქუხს

დეპუტატი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს

9

## შეიძლებოდა თუ არა გიორგი პირველი ყოფილიყო ტირანი?

7

რედაქტორისაგან: *საკუთარ ოჯახში კი არა, მეზობლებს რომ მიადგეს უგვანი ზნეობის კაცი და ქალიშვილის ხელი სთხოვოს, ამაზედაც კი აღშფოთდები ნორმალური ადამიანი და ეს ავანტიურისტი სამშობლოს ხელს მთხოვდა საპრეზიდენტო არჩევნებში... განა ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ღარიბაშვილზე აღშფოთებული ვიყო?*

3

# ციური დადიანიძე (გიგა გელაშვილის დედა):
# ისეთ ტყუილებს წერთ, ცამ ქუხილი დაიწყოს...

*– დედას რომ შვილი უყვარს, ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ შევარდნაძის მტრებმა თუ დაიჭირეს გიგა, ეგ არ ვიცოდით... თქვენ სულ არ გეპარებათ ეჭვი, რომ შეიძლება მის მიმართ ბრალდებები მთლად მოგონილი არ არის?*

*ქ-ნო ციური, დაკავებულის მშობელთან საუბარი, დამეთანხმებით, რომ ძალიან ძნელია გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ მე რომ არ გკითხოთ, მკითხველს დაავალება, ბუნებრივია, ასეთი კითხვა – ფაქტია, რომ მართლაც უამრავი ტერორისტული აქტი მოხდა საქართველოში, უამრავი ხალხი დაიხოცა, ფაქტია, რომ ცნობილი პიროვნებების გარდა უბრალო ადამიანები კვდებოდნენ, ხალხი გარეთ ვერ გამოდიოდა, ხომ არაფერს არ ვაჭარბებ, ხომ იყო ეს ყველაფერი ასე...*

– დრო იყო ისეთი. ისტორიის მცირე მონაკვეთში მოხდა უზარმაზარი ძვრები: დაემხო იმპერია, 9 აპრილს დახოცეს ხალხი, დაანგრიეს და გადაწვეს რუსთაველი, გვარდიელებს ერთმანეთი ახოცინეს, ჩამოაგდეს გამსახურდია, შეიქმნა სამხედრო საბჭო, დაიწყო ომი აფხაზეთში, კომენდანტის საათი, ტანკები იდგნენ თბილისის ქუჩებში, – რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა! – ხალხი შეშინდა... რა შუაშია აქ გიგა გელაშვილი! მე ზღაპრებს კი არ გიყვებით, ყველაფერი ამის თვითმხილველი გახლავართ... აი, ასეთი უბედურებები დაატყდა ჩვენს ქვეყანას. ვერ შეძლო შორს დგომა და მხოლოდ მაშინ ჩაება გიგა ამ უთანასწორო და უსამართლო ხოცვა-ჟლეტის აღსაკვეცად; გიგას თვისებაა – მიეშველოს დაჩაგრულს. ერთხელ საუბარში მითხრა, „ჩემი მიზეზით არასოდეს მიჩხუბია, ყოველთვის სხვისი გულისთვის ვჩხუბობ. რა ვქნა, ვერ ვიტან, როდესაც სუსტს ჩაგრავენო“.

მე მხოლოდ შვილის სიყვარული არ მალაპარაკებს: – ვერ ვუძლებ უსამართლობას – 1-5 აპრილის ნომერში, ბატონი მინისტრი აცხადებს – „გიგა გელაშვილი აყვანის დროს იარაღის გამოყენებას ეცადა“ – იმავე ნომერში წერია – „ქართული ჯარი ენგურზე გადავიდა, არძინბა მიმალვაშია!“. – ეს გახლდათ საპირველაპრილო ხუმრობა და გიგას მიმართ ნათქვამიც ასე ჩავთვალოთ... ხოლო რაც შეეხება ჯაბა იოსელიანმა გიგას შეაგინა – აქ იყო ხუმრობა პარკეტზე! – გიგა გელაშვილს ხე-ტყე კი არა, ფიჩხი არ გაუტანია ბორჯომიდან – ხუმრობას გაგება უნდა... – გიგა საქართველოს მტრის სისხლს ღვრიდა, როგორც სხვა მოქალაქე წყალს, ხოლო, რაც შეეხება „ადამიან-ბომბა“-ს, მართლაც რომ სასაცილოა – ვიღაცამ შეიძლება, მხოლოდ არა გიგამ გააკეთა ეს, გიგას არ შეეძლო და არც მიიღებდა ამ არაკაცურ საქციელში მონაწილეობას, დარწმუნებული ვარ...

ბ-ნ მინისტრი სამართლიანად აღნიშნავს – „დამნაშავეების სასჯელმოუხდელად გამოსვლის შემთხვევაში, სახელმწიფო დაქცეულა და ეგ არის“-ო, მაგრამ თუ მოხდება, საქართველოს დაქცევის მსურველთა წინააღმდეგ მებრძოლი თავდადებული გმირის დასჯა, მაშინ რა ეშველება ასეთ სახელმწიფოს?

მახსენდება ერეკლე მეფის და „მათე ბიჭი“-ს დიალოგი – დილეგში – და ვფიქრობ – ისტორია მეორდება – ჩემი გიგა სწორედ ის „მათე ბიჭი“-ა, რომელიც ქვეყნის მოღალატეებს უკარგავს მოსვენებას, აი რატომ ზის გიგა „დილეგში“.

*– მე ომის პერიოდზე არ გეკითხებით, საუბარია ომის შემდგომ პერიოდზე. დამთავრდა ომი და...*

– ომის და ომის შემდგომ პერიოდში, ჩემგან არ გესწავლებათ, ბატონო ნოდარ, ყველა ქვეყანაში არეულობებია. მე მხედრიონს კი არ ვემხრობი, კი ბატონო, იქაც იყვნენ გარეწრები, მაგრამ ჭეშმარიტი ვაჟკაცებიც ხომ იყვნენ?

*– რა თქმა უნდა, მაგრამ საზოგადოებრიობა ასე სჯამს საკითხს – როგორც კი მხედრიონს ძალაუფლება წაერთვა, ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა...*

– რა ლამაზად ჟღერს, არა? არ მინდა კიდევ ერთხელ პოლიტიკაში გადავიჭრე. როგორ უნდა ემოქმედა მხედრიონს, ისე, როგორც პოლიციას? დღეს რასაც პოლიცია აკეთებს, შემირცხვენია მაგათთან მხედრიონი. როდის ჰქონია იმდენის უფლება მხედრიონს, რაც დღეს პოლიციას აქვს? ბანდიტიზმი საქართველოში ყოველთვის იყო და მოჩვენებითი იქნება, რომ ვილაპარაკოთ, თითქოსდა, დღეს ყველაფერი მიწყნარდა. პირადად ჩემი ამბავი თუ გაინტერესებთ, რაც გიგა დააპატიმრეს, მას შემდეგ თვეში ერთხელ მაინც მაყაჩაღებენ. განვაცხადებ პოლიციაში, ვეუბნები ყაჩაღების გვარს, სახელს, მისამართსაც და არ აპატიმრებენ. ჩემზე რამდენჯერ იყო თავდასხმა? იმიტომ კი არა, რომ ვინმეს ჩემი ჯავრი აქვს მაინცდამაინც. არა, ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებდნენ, გიგა რომ გაემწარებინათ... ერთხელ ჩიხში აშკარად მოსაკლავად ჩამისაფრდნენ, მელოდებოდნენ, მაგრამ ღმერთი დგას ჩემს გვერდით და მიცავს. მისი იმედი მაქვს ამ ქვეყანაზე, მეტი არავისი. მე ჩემი შვილის მწამს, როგორც უკეთილშობილესი ვაჟკაცისა. გიგა არცერთი ორგანიზებული ტერაქტის მონაწილე არ არის, მე დარწმუნებული ვარ ამაში...

*– მაშინ გამოდის, რომ ყველა ჩვენება, რაც ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულებმა მისცეს, ყალბია?*

– იცით, რა? აი, ჩვენი მინისტრი რომ ახლა წინასწარ ლაპარაკობს, დავაცადოთ სასამართლოს, ვიმსჯელოთ ლოგიკურად. გიგა დაბადებიდან 32 წლის ასაკამდე იყო ყველასთვის სანიმუშო, წესიერი, მოსიყვარულე, მაგალითის მიმცემი, უკეთილშობილესი, ყველას დამხმარე – ასეთი ავტორიტეტით მოვიდა იგი 32 წლის ასაკამდე. და საინტერესოა, ასეთი პიროვნება როგორ გახდებოდა ასე უცებ, უეცრად, ერთი ხელის მოსმით – მკვლელი, ტერორისტი, ბანდიტი, სამშობლოს მოღალატე...

*– თქვენ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ბორჯომში ხუთი კაცი დღისით-მზისით მოკლეს?*

– მე არ უარვყოფ ამ ფაქტს, მაგრამ გიგამ ეს ამბავი ყველაზე გვიან გაიგო. გიგას მოსაკლავად იყვნენ ისინი მისულები და გიგა ამ დროს სტადიონზე იყო წასული ფეხბურთის სათამაშოდ. მოიცადეთ, მოვა ახლა გიგაო. შამპანურის ყუთები მოიტანეს და ერთ-ერთმა ჩემი დაბადების დღე არის და გინდა თუ არა, უნდა დალიოთო. მერე უცებ ატყდა სროლა მთვრალებს შორის და ვინ ვის ესროდა, ეს სასამართლომ უნდა დაადგინოს. მაგ ამბავში გიგა არაფერ შუაში არ არის.

*– ყველა ისინი, ვინც იმ ოფისში იყვნენ და ხალხი დახოცეს, მხედრიონელები და გიგას მეგობრები იყვნენ...*

– არა, მხედრიონელები არ ყოფილან, ისინი გიგას ბავშვობის მეგობრები იყვნენ, ბორჯომელი მეგობრები. მხედრიონელობა არაფერ შუაში არ არის. მაგრამ რადგან გიგას მეგობრები იყვნენ, გამოიტანეს დასკვნა, რომ მხედრიონის წევრები იყვნენ. დავუშვათ და იყვნენ, მერე რა? ეს არაფერს ნიშნავს, ისინი ყველანი თავის საქმეს აკეთებდნენ. ერთი საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი, მეორე უნივერმაღის გამგე, მესამე – ბორჯომის ქარხნის მეპატრონე და ა.შ. იყვნენ და თავიანთ ოფისში იკრიბებოდნენ ხოლმე საღამოობით...

*– ქ-ნო ციური, იმ ხუთ ადამიანს, რომლებიც ოფისში ჩახოცეს და შემდეგ არაადამიანურად დამარხეს, ხომ ჰყავთ მშობლები...*

– მერე ვინ ამბობს, რომ კარგი საქმე გააკეთეს. გიგა იცით რა დღეში იყო? იცით, რა ამბავი აუტეხა ბიჭებს ამ საქმესთან დაკავშირებით?

*– ქ-ნო ციური, გიგა სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი იყო და ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის შემდეგ გაიხსნა, რას იტყოდით ამის შესახებ?*

– აბა, რა უნდა ვთქვა? გიგა ისეთი ულალატოა, გიგა იმას ვერ გააკეთებდა, რომ წასულიყო და თავისი მეგობრები დაებეზღებინა ან სხვისთვის გაეკეთებინა ასეთი რამე. მას თვითონ არ მოეწონა ეს ამბავი, მაგრამ რაღა უნდა ექნა, ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო და პოლიციაში ხომ არ დაბეზღებდა. აი, ეს არის მისი დანაშაული. კოდექსებით და პროკურატურის პოზიციიდან თუ ვიმსჯელებთ, ეს დანაშაულია, მაგრამ კაცობის თვალსაზრისით, თქვენ წახვიდოდით და დააბეზღებდით?

*– საქმეც ამაშია, რომ აი, ასეთი კლანები ებრძოდნენ ერთმანეთს და ამ ორი მხრიდან არც ერთი იყვნენ და არც მეორენი მამა აბრამის ბატკნები. ესენიც ყაჩაღები იყვნენ და ისინიც.*

– ესენი კი არა, ისინი იყვნენ ყაჩაღები და ესენი იყვნენ ძალიან კარგი ბიჭები, რომლებსაც მოუცვივდნენ ყაჩაღები. იცით, რა ბიჭები არიან? მე ვიცნობ ყველას... რის კლანები, რომელი კლანები...

*– აბა ლიტერატურული კამათის გამო ესროლეს ერთმანეთს?*

– მე რომ ახლა ვინმე შემომივარდეს, ბ-ნო ნოდარ, შეიძლება მეც მოვკლა.

*– კი ბატონო, დავუშვათ თავდაცვის მიზნით დახოცეს ხალხი. თანამონაწილეები, რასაკვირველია, ერთმანეთს არ დააბეზღებდნენ, გეთანხმებით ამაში. მაგრამ ახლა მეორე მხრიდან შევხედოთ ამ საკითხს, ამ მკვლელობის შესახებ მთელმა რაიონმა შეიტყო უმალ, შეიძლება ყველა მონაწილის გვარი და სახელი კონკრეტულად არ იცოდნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ოფისში მოხდა მკვლელობა და ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ მკვლელები, ცნობილი იყო იმთავითვე, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ვერა კაცმა ვერ გაბედა ხმის ამოღება. ამ ფაქტიდან ხომ არ გამომდინარეობს, რომ ამ „კეთილშობილ“ სპორტსმენ ბიჭებს ტერორში ჰყოლიათ მთელი მოსახლეობა?*

– როგორ გეკადრებათ, პირიქით, მოსახლეობას უყვარდა ეს ბიჭები და ხალხმა პირდაპირ ამოისუნთქა, ის ბანდიტები რომ მოგვაშორეთო აქედან... თქვენ იცით, მაღრაძე რაებს სჩადიოდა? ეს იყო აბსოლუტური სადისტი. მე კიდევ გიმეორებთ, რომ მე არ ვამართლებ მკვლელობას. მე მორწმუნე ქალი ვარ და ვთვლი, რომ ყველანაირად უნდა ეცადო, რომ სიტყვით დააჯერო, ლოგიკით. მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ სიტუაცია. აქ ჩვენ მაგიდასთან ვზივართ და დაწყნარებით ვსაუბრობთ, მაგრამ თქვენ რომ იმ სიტუაციაში აღმოჩენილიყავით, შეიძლება თქვენც მოგეკლათ ვინმე. მე ქალი ვარ და კიდევ ერთხელ ვიმეორებ – კაცისკვლის სასტიკი წინააღმდეგი გახლავართ. მაგრამ ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ გარკვეულ სიტუაციაში კაცს ვერ მოვკლავ. მოვკლავ კი არა, ბევრჯერ მქონია ისეთი სიტუაცია, მინატრია, ახლა იარაღი მომცა და ამისთვის შუბლი გამახვრეტინა-მეთქი. იქ იყვნენ დამნაშავეები, ვინც ახლა დაპატიმრებულნი არიან და დახოცილები. სხვა იქ ვინმე იყო? იცოდა ვინმემ რა მოხდა? არავინ იცის, რა სიტუაცია შეიძლებოდა შექმნილიყო, რა პანიკა. შეიძლება ვინმემ ჰაერში გაისროლა, შემთხვევით და ამას მოჰყვა შემდეგ დანარჩენი...

*– ამასწინათ პრესაში გამოქვეყნდა თედიაშვილის წერილი, იცით, ალბათ, თედიაშვილმა სასამართლო პროცესზე ჩვენა და შემდეგ უზარმაზარი წერილი დაწერა. ყოველ შემთხვევაში, პრესაში ასე ჩანს, რომ მისი ავტორობით არის გამოქვეყნებული მასალები. იგი დეტალურად აღწერს, რა როგორ მოხდა და პრინციპში, მთლიანად ადანაშაულებს მომხდარში მათ, ვინც დღეს გასამართლის სკამზე ზის.*

– ახლა თქვენ გჯერათ, რომ ეს თედიაშვილის დაწერილია? ჯერ ერთი, თქვენ წაიკითხეთ ეს წერილი და როგორც ჟურნალისტი, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ეს არის პროფესიონალი იურისტის და არა პატიმრის დაწერილი. მერე კიდევ, რომ ლაპარაკობს ეს ჩვენი მინისტრი, რომ აქვეყნებენ გაზეთებში რაღაცეებს, ის კაცი სასამართლოში მოყვანილი იყო, როგორც მოწმე, და ვის ჰქონდა უფლება, მათ როდის რა ტერორისტული აქტი ჩაუდენიათ, იმაზე გადაეტანათ ლაპარაკი, რა შუაში იყო ეს, მე თქვენ გელაპარაკებით? მერე ქვეყნდება გაზეთში თედიაშვილის აღსარება. აღსარებას, მე კარგად ვარ ჩახედული საეკლესიო საქმეებში, კაცი ამბობს მღვდელთან და იგი ვალდებულია, საიდუმლოდ შეინახოს.

*– მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს აღსარება...*

– მოულაშვილს გადაუგზავნა ეს აღსარება...

*– მაგრამ არამარტო მიტროპოლიტს, მთავრობასაც გაუგზავნა წერილი, აღიარება დაერქვას, აღსარება უფრო ჟურნალისტების ენით არის ნათქვამი.*

– აღსარება? აღსარება რა მოსატანი იყო. არ იცით, რეები ხდება, ბ-ნო ნოდარ? როცა იქნება, ხომ გაირკვევა. ეს არ არის თედიაშვილის ნალაპარაკევი, ეს არ არის მისი ლოგიკა, მისი მეტყველება. ხომ გეუბნებით, მე პოლიტიკოსი არა ვარ. მით უმეტეს, სასამართლო პროცესისა არაფერი გამეგება. ხომ გითხარით, ნაცნობიც კი არა მყოლია ნასამართლევი... არ ვიცი, მაგრამ იმაში კი ვერკვევი, გაზეთებში რას აქვეყნებენ და როგორ აქვეყნებენ.

*– იქნებ კანონით მართალი ხართ ამ შემთხვევაში. მე ვალდებული ვარ კანონიერებას დავუჭირო მხარი, მაგრამ მორალის თვალსაზრისით რომ ვილაპარაკოთ, თედიაშვილს თუ იმის უფლება ჰქონდა, წინ და უკან ეხოცა ვინც არ მოეწონებოდა, გაზეთებს იმის უფლება არა აქვთ, რომ მასალები გამოაქვეყნონ?*

– თედიაშვილს ბევრი არავინ დაუხოცია, ჯერ სასამართლოც არ ჩატარებულა და ეს დამტკიცებულიც არ არის. იქნებ არც დაუხოციათ და გაამართლონ, გამოვიდნენ. ისინი ხომ ეჭვმიტანილები არიან. წელიწადი და 8 თვეა იქ დავდივარ, მეც კი ვისწავლე განსხვავება ეჭვმიტანილსა და მსჯავრდებულს შორის. დარწმუნებული რატომ ხართ, რომ თედიაშვილმა ეს მკვლელობები ჩაიდინა? სასამართლო რომ ჩატარდება და რომ მოუსჯიან (მე ამაში ეჭვი ძალიან მეპარება), მერე შეიძლება ჟურნალისტებმა მისცენ ასეთი რამის დაწერის უფლება თავს მაგრამ რა მორალზეა ლაპარაკი აქ? ვერ ხედავთ, რა კამპანია გააჩაღეს ელენე თევდორაძის წინააღმდეგ, რა ომი დაუწყეს და რისთვის? პატიმრების უფლებებს რომ იცავს, იმისათვის? მე მინდა ვთქვა, რომ საერთოდ ჟურნალისტები და გაზეთები ძალიან უპასუხისმგებლოდ იქცევიან, თუნდაც გიგას მიმართ, უკვე მოგიყვანეთ ამის რამოდენიმე მაგალითი. შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლობა? განა ეს დემოკრატიაა, რაც ენაზე მოგადგება, მას რომ დაწერ, თანაც ისეთ რამეს, ცამ ქუხილი რომ დაიწყოს? საზღვარგარეთელ ჟურნალისტებს რომ ედრებიან, ისინი 100%-ით თუ არ არიან დარწმუნებულები ისე რომ დაწერონ, სასამართლოში უჩივლებენ. რასაც ჩვენ ჟურნალისტებს ვუთმენთ... მე პირადად შემეძლო რამოდენიმე მათგანი მიმეცა პასუხისგებაში. მაგრამ არა მცალია და პოლიციასაც ვერ ვენდობი. ანდა როგორღა უნდა ვენდო, დამაყაჩაღეს-თქო ვეუბნები, ანსამბლიც წამართვეს, ხუთი ათასი დოლარის კოსტუმები, გარდერობში კლიტე გადახერხეს, გადახერხილი ბოქლომიც მაქვს დამამტკიცებელ საბუთად, რომ ნამდვილად ჩემი ბოქლომი გადახერხეს, მოწმეც არის, ვინც იქ იყო, გვარიც ვიცი, სახელიც, მაგრამ არ აპატიმრებენ. რაზეა ლაპარაკი?

*– მე გირჩევთ ყაჩაღის გვარი და სახელი გადასცეთ ბატონ მინისტრს და ჩააყენოთ საქმის კურსში...*

– აი, ბატონი მინისტრი, ჩვენი ბატონი მინისტრი. სხვათა შორის, მის მიმართ არა ვარ განწყობილი ანტიპათიურად. თავის საქმეს აკეთებს კაცი, მინისტრი რომ არის, რაღაც ხომ უნდა გააკეთოს? ვალდებულია ყაჩაღები, ბანდიტები და მკვლელები აიყვანოს, მაგრამ არ არის ვალდებული ამის შესახებ ჟურნალისტებთან ილაპარაკოს.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გრძელდება ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი იტალიაში

იტალიაში ვიზიტის მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ლამბერტო დინის და თავდაცვის მინისტრ ბენიმინო ანდრეატის. მან მხარი დაუჭირა იტალიის იდეას, შეიქმნას გაეროსთან არსებული საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელიც განიხილავს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი საშიშროებას უქმნის მრავალ ქვეყანას. ამიტომ, ყველა ქვეყანამ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ მოვლენასთან ბრძოლაში. (ბი ჯი აი)

## ხელი მოაწერეს საქართველო-იტალიის დეკლარაციას ურთიერთობების პრინციპებზე

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა იტალიის პრემიერ-მინისტრ რომანო პროდის, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს და იტალიას საერთო ინტერესი აქვთ. რომანო პროდიმ აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე რეფორმები ფართო გზას უხსნის თანამშრომლობის პროცესებს. რომანო პროდიმ აღნიშნა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მაღალი პოტენციალი. საქართველოს პრეზიდენტმა და რომანო პროდიმ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას საქართველოსა და იტალიის ურთიერთობების პრინციპებთან დაკავშირებით. შესაბამისი უწყებების და სამინისტროების ხელმძღვანელების დაცვის, თავდაცვის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში. (ბი ჯი აი)

## საქართველოს პარლამენტის დელეგაცია თურქეთს ეწვევა

19 მაისს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები თურქეთის პრეზიდენტ სულეიმან დემირელთან, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარესთან მუსტაფა ქალემლისთან, პრემიერ-მინისტრ ნაჯმეთინ ერბაქანთან, საგარეო საქმეთა მინისტრ თანსუ ჩილერთან. საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდებიან მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს სტამბულში. საქართველოს დელეგაციის ვიზიტი 21 მაისამდე გასტანს. (ბი ჯი აი)

## შეხვედრა დახურულ კარს მიღმა

გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ მიიღო თურქეთის გენერალური შტაბის მეთაურის მოადგილე ჩეთინ დოღანი. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა წარიმართა. თურქული მხარის თანმხლები პირების ცნობით, განიხილეს სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები. ჩეთინ დოღანი შეხვდა საქართველოს გენერალური შტაბის მეთაურს ზურაბ მეფარიშვილს. (ბი ჯი აი)

# ქართლოს ღარიბაშვილის მუქარის გამო

*რედაქტორისაგან: გუშინ რედაქციაში დაგვიანებით მისულს თანამშრომლის წერილი დამხვდა მაგიდაზე. იწერებოდა: „ბ-ნო ნოდარ, დაგირეკათ ქართლოს ღარიბაშვილმა, მანდ არ მომიყვანოსო. გაეაგებინებ, მე ვინცა ვარო და უახლოეს ხანში მე-5 იზოლატორში ამოეაყოფინებ თავსო. მე ვეუთხარიო – მწერდა კორესპონდენტი – აბა, შენ იცი-თქო“. საუბარი მთლად არაკულტურულ ფარგლებში მიმდინარეობდაო.*

*ძვირფას ქართლოსს, იგივე „ესენგოსას“, თავისი ტელეფონის ნომერიც დაეტოვებინა.*

*გადავურეკე და ჩვენი ხანგრძლივი საუბრის მანძილზე (რომლის დაწვრილებით გადმოცემას არ ვიკადრებ, თუმცა, მშვენიერი გასართობი ნოველა დაიწერებოდა) დავრწმუნდი, რომ იმ კაცთან მაქვს საქმე, რომელიც მიზნის მისაღწევად არანაირ საშუალებაზე უარს არ იტყვის...*

*აღარ ვაპირებდი ფირმა „ომეგასა“ და „ელიზის“ შესახებ რაიმე პუბლიკაციის გამოქვეყნებას, ბოლოს და ბოლოს, გაზეთმა თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა, მაგრამ ახლა გაჩუმება იმას ნიშნავს, ღარიბაშვილს ვაფიქრებინო, მე-5 იზოლატორით შემიშინებიაო.*

*პირადად მე, ეს კაცი ციხისთვის არ მემეტება, არასამართლიანი იქნებოდა, უჩივლო იმას, ვის შესახებაც, წესით, ასათიანზე ექიმებს უნდა შეხჩიოდე...*

*რა გვაქვს გასაყოფი, რა დამიშავებია – შეურაცხყოფას რატომ მაყენებო – გაჰკიოდა ღარიბაშვილი.*

*შე დალოცვილო, მაინცდამაინც პირადად უნდა დამიშაო, საკამათო რომ გვქონდეს?*

*საკუთარ ოჯახში კი არა, მეზობლებს რომ მიადგეს უგვანი ზნეობის კაცი და ქალიშვილის ხელი სთხოვოს, ამაზედაც კი აღშფოთდები ნორმალური ადამიანი და ეს ავანტიურისტი სამშობლოს ხელს მთხოვდა საპრეზიდენტო არჩევნებში... განა ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ღარიბაშვილზე აღშფოთებული ვიყო?*

*იძულებული ვარ, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ ნ.თალაკვაძის მასალა. დაე, მკითხველმა განსაჯოს, ვის აცხადებს უმწიკვლოდ ღარიბაშვილი და რა სუფთა არგუმენტებს შეიძლება ემყარებოდეს მისი მტკიცებულებანი.*

*„ელიზის“ მესვეურებს კი შევახსენებ, ღარიბაშვილის კისერზე იყოს ეს პუბლიკაციები. რომ გაეჩერებინა ენა, რედაქცია თქვენს თემას აღარ მიუბრუნდებოდა.*

*არადა, თალაკვაძის მასალის ფინალიდან სენსაციურ ინფორმაციას შეიტყობს მკითხველი...*

*P.S. რატომ ღმერთი არ გაიცინებს, ვინც დამყაჩაღებელს იცავს, მე-5 იზოლატორით აქეთ გვემუქრება...*

# ვისია, ვისია შავი ბიზნესი?

პატიოსანი ბიზნესის არსებობა ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იმ ქაოსმა, რაც საქართველოში შეიქმნა, როგორც ჩანს, მძიმე დაღი დაასვა ბიზნესის ისეთ განვითარებასაც, რომ „შავ“ მხარეს არ გადაეწონა. ყოველ შემთხვევაში, ბიზნესმენები მოვალენი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ პატიოსანი ბიზნესისა და პატიოსანი კონკურენციის დამკვიდრებაში.

ყველას კარგად მოეხსენება ფირმა „ელიზის“ მიერ ჩადენილი კრიმინალური აქციები ფირმა „ომეგას“ წინააღმდეგ. მათ საქმეს ამჟამად პროკურატურა იძიებს და სასურველი იყო ჟურნალისტები მორიდებოდნენ აზრის გამოთქმას, ვიდრე სასამართლო პროცესი დამთავრდებოდა. მაგრამ ფირმა „ელიზმა“ თავიდანვე ისეთი ბუქი დააყენა და ისეთნაირად ცდილობს მოვლენების წარმართვას, რომ იძულებული ვართ, სასამართლოში განსახილველი ზოგიერთი მასალა პრესის ფურცლებზე გამოვიტანოთ. აი, ახლაც, ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა გალანძღა ფირმა „ომეგა“ და ამით უნდოდა „გაეთეთრებინა“ თვით დამყაჩაღებელნი. 13 მაისს ქართლოს ღარიბაშვილმა ფირმა „ელიზის“ დასაცავად გამართულ პრეს-კონფერენციაზე საჯაროდ დასდო ბრალი ფირმა „ომეგას“, რომ იგი ვერ ითმენს ძლიერ კონკურენტს და ბიზნესის „გამათეთრებელ“ „ელიზს“ და უნდა გზიდან ჩამოიცილოს.

პროკურატურის ცნობით, „ელიზი“ თავს დაესხა „ომეგას“. აქედან გამომდინარე ლოგიკური დასკვნა: სწორედ „ელიზს“ სდომებია „ომეგას“ გზიდან ჩამოცილება.

ახლა მასალები:

1996 წლის სექტემბერში ექსპერიმენტის დაწყების დროს „ომეგამ“ სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანა 1.009.825 ლარი. ასე რომ, „ექსპერიმენტის ასამოქმედებლად გადამწყვეტი“ სწორედ ეს თანხა იქნებოდა, და არა „ელიზის“ მიერ შეტანილი 429600 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში „ომეგას“ შეტანილი აქვს 10330896 ლარი, „ელიზს“ – 4001341 ლარი.

როგორც ვხედავთ, არც ექსპერიმენტის დაწყებისას და არც მას შემდეგ „ომეგა“ და „ელიზი“ კონკურენტებად ვერ გამოიყურებიან „ომეგას“ აშკარა უპირატესობის გამო.

ფირმა „ელიზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით, „ელიზი“ ბაზრის 40%-ს აკონტროლებს. ვენდოთ მათ მონაცემებს, ვენდოთ უამრავ სარეკლამო გადაცემებს, ფირმის სარეკლამო ავტომობილების მოძრაობის სისწრაფესა და რაოდენობას და ა.შ. და ა.შ. და ვიკითხოთ, როგორ ხდება ეს?

ისევ მონაცემები შევადაროთ:

ექსპერიმენტის დაწყებიდან დღემდე ფირმა „ელიზს“ საქართველოში შემოტანილი აქვს 12360 ყუთი სიგარეტი, ფირმა „ომეგას“ კი – 295253 ყუთი, ე.ი. 24-ჯერ მეტი. მაშასადამე, კონკურენციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი უნდა იყოს; რეალურად კი ნამდვილად კონკურენციაა. როგორც თავად აცხადებენ, ნამდვილად 40%-ს აკონტროლებენ.

არათუ ბიზნესში ჩახედული, არამედ უბრალო მკითხველისთვისაც კი გასაგები ხდება, რომ სწორედ აქ არის ძაღლის თავი ჩამარხული. სწორედ ესაა შავი ბიზნესი ანუ კონტრაბანდული საქონლის რეალიზაცია და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადის გადაუხდელობა. სწორედ ამ დროსაა, რომ რეალური კონკურენცია დიდია, ოფიციალური მონაცემები კი გაცილებით მცირე. შეადარეთ ოფიციალური მონაცემებით თითქმის სამასი ათასი ყუთი და 13 ათასი, ხოლო რეალურად ამ 13 ათასის მფლობელი აკონტროლებს ბაზრის 40%-ს. ეს როგორ?

ახლა ხომ თვალსაჩინოა, ვინც ცდილობს კონკურენტის ჩამოცილებას და შავი ბიზნესის დამკვიდრებას ჩვენს სინამდვილეში. და უკვე აღარც ის გიკვირს, შავი ბიზნესის წარმომადგენლები რატომ არ ერიდებიან მიზნის მისაღწევად არაფერს: „შპიონაჟს“, კავშირს კრიმინალურ სამყაროსა და უზნეო პოლიციელებთან, მექრთამეობას და სხვა და სხვა, რატომ, როგორ და რისთვის მოიპოვეს „ცნობილი“ ბიზნესმენების სახელები, პოპულარობა, ურთიერთობები...

**ნ. თალაკვაძე**

## დასავლეთზე — საქართველოს ორიენტაცია სასიკეთოს არაფერს გვიქადის, — თვლიან კომუნისტები

საქართველოს ევროპული ორიენტაციის კონცეფცია, რომელიც ქვეყნის პარლამენტმა წარმოადგინა, ხელს ვერ შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას, – ნათქვამია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. საქართველოს ერთიან კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ მსგავსი კონცეფციის მიღებით, საქართველო ვერასოდეს დაიბრუნებს შიდა ქართლს და აფხაზეთს, ვერ გადაწყვეტს საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და ვერ აღკვეთს კორუფციის აყვავებას. დასავლეთზე ორიენტირება კიდევ უფრო გაართულებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, – მიაჩნიათ კომუნისტებს. (ბი ჯი აი)

## მოსალოდნელია ვიქტორ ჩერნომირდინის ვიზიტი აფხაზეთში

შესაძლებელია, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი ვიზიტით ეწვიოს აფხაზეთს, რომლის მიზანია ლტოლვილთა დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა. ეს ვიზიტი დსთ-ის ქვეყნების სამიტის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, განაცხადა საქართველოს ელჩმა რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძემ. ლორთქიფანიძის აზრით, აფხაზური მხარის პოზიციის გამო დღემდე არ არის გარკვეული გალის რაიონში უსაფრთხოების ზონის გაფართოების საკითხი. (ბი ჯი აი)

## ომში დაღუპულთა ნეშტებს გადმოასვენებენ

გუშინ გადმოასვენეს აფხაზეთის ომის დროს ბაბუშერას აეროპორტში აფეთქებულ თვითმფრინავში დაღუპული მებრძოლების ნეშტი. გადმოსვენების ინიციატორები არის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ქართულ-აფხაზური ერთობლივი კომისია. ორი დღის განმავლობაში თბილისში 30 ადამიანის ნეშტს გადმოასვენებენ. (ბი ჯი აი)

## «გეოგრაფიული სიახლეები»: რუსეთის ქალაქი გაგრა

აფხაზეთიდან დევნილმა უზენაესმა საბჭომ თხოვნით მიმართა რუსეთის საელჩოს საქართველოში, – რეაგირება მოახდინოს იმ ფაქტზე, რომ რუსეთის ორგანიზაციები და ფირმები ხშირად აფხაზეთის ქალაქებს რუსეთისას უწოდებენ. გაზეთ „მეგაპოლის ექსპრესის“ ერთ-ერთ ნომერში ტურისტებს მოუწოდებენ ეწვიონ რუსეთის კურორტ გაგრას. გარდა ამისა, საფოსტო ბლანკებზე აფხაზეთი ფიგურირებს როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი. (ბი ჯი აი)

## თავისუფლების პარტია შუამავლის როლს კისრულობს

აფხაზეთის პრობლემა თანასწორობის პრინციპების დაცვით უნდა გადაწყდეს, – ასეთი კონცეფცია წამოწიეს საქართველოს თავისუფლების პარტიის ლიდერებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მათი აზრით, კონფედერაცია, რომლის შესახებაც აფხაზები საუბრობენ, პირველ ეტაპზე, საქართველომ უნდა მიიღოს. ამავე დროს, მოლაპარაკებებისას, საქართველომ მაქსიმალურად უნდა დაიცვას საკუთარი ინტერესები. სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაფართოებისადმი პარტიის წარმომადგენლებს ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ. მათ მიაჩნიათ, რომ ამან შესაძლოა კონფლიქტის განახლებამდე მიგვიყვანოს. პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, მათ შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ შუამავლის როლი მოლაპარაკებებში. (ბი ჯი აი)

## ექს-პრეზიდენტის მომხრეები დავით გარეჯის კომპლექსს იცავენ

დღეს, აკაკი ხორავას სახელობის ხელოვნების მოღვაწეთა სახლთან, ხელოვნების მოღვაწეთა წინააღმდეგ საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის ფრონტი, – განუცხადა BGI-ის კორესპონდენტს „ზვიად განმანთავისუფლებელის“ პარტიის თავმჯდომარე ლეილა ცომაიამ. აქციის მონაწილეები კვლავ მოითხოვენ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე პოლიგონის დახურვას და ამხელენ კულტურის მოღვაწეებს, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს სამხედრო გადატრიალებაში და კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებაში, – აღნიშნა ლეილა ცომაიამ.

## ზემო სვანეთი დახმარებას ელოდება

წყალდიდობებმა და მეწყერების ჩამოწოლამ მესტიის რაიონის მოსახლეობას 2,5 მილიონი ლარის ზარალი მიაყენა. როგორც დღეს BGI-ის კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა მესტიის რაიონიდან იევერი ჭელიძემ აცნობა, სტიქიურ უბედურებებთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაცია მთავრობას გადაეცა. მესტიის რაიონში სტიქიამ 100 სახლზე მეტი დაანგრია, – აღნიშნა იევერი ჭელიძემ.

## თბილისში სისუფთავე მოიმატებს

20 მაისი გამოცხადებულია თბილისის სანიტარულ დღედ. ასე გადაწყვიტა დედაქალაქის მერიამ. როგორც BGI-ის კორესპონდენტს თბილისის მერიის პრეს-ცენტრში აცნობეს, ამ დღეს ნაგვის გასატანად მთელი არსებული ტექნიკა ამოქმედდება. მერიამ ყველა თბილისელს მიმართა თხოვნით, – დაეხმარონ მუნიციპალურ სტრუქტურებს ამ აქციის ჩატარებაში.

## საქართველოს მძღოლები თურქეთის მძღოლებს ბლოკირებით ემუქრებიან

სატვირთო ავტომობილების მძღოლები აპირებენ საპროტესტო აქციის გამართვას თურქეთიდან ჩამოსული მძღოლების წინააღმდეგ. მძღოლები თბილისიდან მცხეთამდე ავტომაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან. BGI-ის კორესპონდენტი მივიდა ეგრეთწოდებულ „ტრაილერების ბირჟაზე“, სადაც მძღოლებმა მას განუცხადეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთები თურქ მძღოლებს გადააქვთ. ანალოგიური მდგომარეობაა სომხეთსა და აზერბაიჯანში. „ჩვენ აქ თვეობით ვდგავართ კლიენტების მოლოდინში, ოჯახებს ვერ ვარჩენთ და გადასახადებით გვახრჩობენ“, – აღნიშნეს მძღოლებმა.

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის საანგარიშო პოლიტიკური მოხსენება პარტიის III ყრილობაზე

ჩვენი საუბრის თემა მოითხოვს, რომ რამდენიმე ეპიზოდის თხრობით შევახსენოთ ის საერთო ფონი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენი პარტიის ყველა წარმატებისა თუ წარუმატებლობის სწორ გაგებასა და გააზრებას.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წიაღში აღმოცენებული და მისი შემადგენელი ერთ-ერთი პარტიაა. მიუხედავად იმ ტრაგედიისა, რომელიც დღეს საქართველოში ტრიალებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღეს იურიდიულად და მორალურად გამარჯვებული ძალაა, რამდენადაც საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელია, მისი დამოუკიდებლობა ოფიციალურადაა აღიარებული უმაღლეს პოლიტიკურ ღირებულებად ჩვენი ქვეყნისათვის და მიუხედავად კომუნისტური კადრებისა და მექანიზმების ფართო ფაქტობრივი რესტავრაციისა, საყოველთაოდ აღიარებულია ამ მიზნისთვის გაწეული და გასაწევი ბრძოლის უმაღლესი მორალური რანგი. საქართველოს მიერ თავისი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტმა, რომელიც შესრულდა 1991 წლის 9 აპრილს, თავისი წვლილი შეიტანა სსრკ-ს დაშლაში, რომლის უკანასკნელი მძლავრი ბიძგი იყო 1991 წლის 1 დეკემბერს უკრაინაში ჩატარებულ რეფერენდუმზე ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გამარჯვება. საქართველოს გრპ-ის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის – ყოფილი საქართველოს სახალხო ფრონტის გამარჯვება და ღვაწლი გახლდათ პირველი ოფიციალური საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნა საქართველოში, რომელმაც გააუქმა საქართველოს კოლონიური მდგომარეობის იურიდიული საფუძველი – საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 9 მარტის დადგენილების მიღება, რომლის ძალითაც საქართველო დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად იქნა ცნობილი.

ამავე დროს სგრპ, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე და როგორც ხელისუფლებაში გარკვეული ხნის მანძილზე მონაწილე პარტია, ინაწილებს პასუხისმგებლობას იმ კატასტროფაზე, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა ტერიტორიების ძალადობითი (დროებითი) მოწყვეტის სახით. აი ამ ორმაგი – ამაღლებული და ტრაგიკული მახასიათებლების ფონზე უნდა იქნას განხილული ის დროც, რომელსაც ჩვენი საანგარიშო მოხსენება ეხება, და ჩვენი პარტიის ადგილიც ამ დროის მანძილზე წარმართულ პოლიტიკურ პროცესებში.

1995 წლის ნოემბრის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი მთლიანად იყო დაკავებული არჩევნებისათვის მზადებით. იმ თითქმის ნულოვანი ფინანსური ბაზის პირობებში, რომელიც პარტიას ამ არჩევნებისთვის გააჩნდა, კომიტეტი ახორციელებდა საარჩევნო მასალების პუბლიკაციას და, იშვიათი გამონაკლისის სახით, საარჩევნო კამპანიას პლაკატებიანი ავტობუსის გამოყენებით. ტელევიზიაში გამოსასვლელად პარტიისათვის განკუთვნილი დრო გამოყენებული იქნა იმ პროპორციის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა ეროვნულ კომიტეტში პარტიის შემადგენელი ელემენტების – ყოფილი საქართველოს სახალხო ფრონტის, ყოფილი რესპუბლიკური პარტიისა და ყოფილი პარტიის „ქარტია-91“-ის წარმომადგენლებს შორის, აგრეთვე ერთგვარი მიახლოებითი პარიტეტის დაცვის ტენდენციით ამ სამ ელემენტს შორის. სატელევიზიო გამოსვლებს შორის იყო არაკანდიდატი პიროვნების – რეზო შავიშვილის გამოსვლაც, პარტიის ეროვნული კომიტეტის 11 წევრიდან 6 იყო ყოფილი რესპუბლიკური პარტიის წევრი, 5 კი ყოფილი საქართველოს სახალხო ფრონტის და ქარტია 91-ის წევრები. სატელევიზიო გამოსვლათა კოორდინაცია უკიდურესად გაძნელებული იყო როგორც ზემოხსენებული გარემოების გამო, ისე იმის გამო, რომ პარტიის წევრთა შორის თვით ეროვნული კომიტეტის შემადგენლობაშივე არსებობდა აზრთა დიდი განსხვავება მიწის პოლიტიკის თაობაზე და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თაობაზე.

როგორც ცნობილია, არჩევნებზე საქართველოს გაერთიანებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ მძიმე მარცხი განიცადა, რომლის მიზეზი ან მიზეზები ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სააზროვნო თემა გახლავთ დღეს და იქნება გარკვეული ხნის მანძილზე მომავალშიც. ამ მარცხის მიზეზების ვრცლად განხილვა შეგვიძლია: მიზეზი იყო ფინანსურადაც, შინაგანი არაკოორდინირებულობით გამოწვეულიც და ზოგად პოლიტიკურ სპექტრში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეულიც. მაგრამ ყველა შემთხვევაში ნათელია, რომ ჩემ ვალად ვრაცხ პირუთვნელად მოგახსენოთ ჩემი აზრი ამ საკითხზე.

პირველი და ყველაზე თვალსაჩინო მიზეზი ის გახლავთ, რომ პარტიას არ ჰქონდა ფინანსური და მატერიალური რესურსები საარჩევნო ბრძოლისათვის. ამ ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ ჩვენს საარჩევნო წარუმატებლობაში ორი აზრი არ არსებობს. ამ ფაქტორის ძლიერებიდან გამომდინარეობს, რომ პარტიას ყველა ღონე უნდა ეხმარა, რათა ორგანიზაცია გაეკეთებინა მონათესავე მიმართულების ყველა პარტიების ან მათი უმრავლესობის ურთიერთბლოკირებისათვის, რათა ეროვნული ძალები ერთად გამოსულიყვნენ ესოდენ საპასუხისმგებლო მომენტში. ეს უნდა გაკეთდეს, ცხადია, მომავალში მაინც.

მეორე მიზეზი, ჩემის აზრით, ის გახლავთ, რომ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, მიუხედავად მაღალი საპარლამენტო ტრიბუნის ქონისა, მაინც ვერ დაფიქსირდა ამომრჩევლის ცნობიერებაში როგორც ხელისუფლების კურსისადმი კრიტიკულად და კონსტრუქციულად დაპირისპირებული მთავარი პარტია – როგორც, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსალური ანტიკომუნისტური ოპოზიციური პარტია, ანუ ისეთი პარტია, რომლის გარშემოც შემოკრებილნი არიან და რომლის მოქმედებაშიც თავს იყრიან თავისი საქმიანობით ყველა ეროვნული და დემოკრატიული ძალები საერთოდ. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური როლის ასე არამომგებიანად წარმოდგენას ხელი შეუწყო, ერთის მხრივ, იმან, რომ ბლოკი „XXI საუკუნე“ ამომრჩეველთა თვალში ჩვენს პარტიაზე უფრო რადიკალურად და თანმიმდევრულად დაპირისპირებული ჩანდა ხელისუფლების არაეროვნულ კურსთან, მეორეს მხრივ იმან, რომ პარლამენტის მუშაობის ბოლო კვირებში, კონსტიტუციის განხილვის პროცესში, ეს პარტია ისე მკაფიოდ კრიტიკული არ აღმოჩნდა ერთპიროვნული დიქტატურის დამაკანონებელი კონსტიტუციისადმი, როგორც ეს ამომრჩეველთა შეგნებულ ნაწილს უნდოდა. შეცდომა იყო არა კონსტიტუციისათვის ხმის მიცემა, რაც ყველა შემთხვევაში უნდა გაკეთებულიყო, რათა კონსტიტუციის მიღების მონაწილე ყოფილიყო აფხაზეთის უდავოდ (და არა სათუოდ) ლეგიტიმური დეპუტაცია, არამედ ვრცლად და გაშლილად ბოლომდე არმხილება კონსტიტუციის პროექტის ამ დიქტატორული ბუნებისა, სათანადო პოპულარული ფორმით, ერთის მხრივ, და მსჯელობის ზედმეტად რბილი ტონის არჩევა პარტიის დეპუტატთა უმრავლესობის მიერ, მეორე მხრივ. სამწუხაროდ, ვ. ხმალაძის პრეზიდიუმში ჯდომა, როგორც პროექტზე მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორისა, შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს პარტია პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი იყო. ამ ხარვეზის შედეგი იყო, პარტიის წევრ დეპუტატთა შინაარსობრივად უკიდურესად მძაფრი გამოსვლები პროექტის ამ მხარის წინააღმდეგ ამომრჩეველს შეუმჩნეველი დარჩა. ამ მიზეზის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ, პირიქით, შევარდნაძის ხაზისადმი მხარდაჭერა ამ თემის განხილვის პროცესში პარტიას მეტ ხმებს მოუტანდა.

მესამე და, ჩემის აზრით, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ყოფილმა ცალკე ნაწილებმა – სახალხო ფრონტმა, რესპუბლიკელებმა და ქარტია-91-მა საქართველოს ახალი ისტორიის ისეთ ტრაგიკულ მომენტში, როგორიც იყო 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება, ვერ შეასრულეს თავისი პირდაპირი მოვალეობა, – თავისი სისუსტის თუ არასაკმარისი აქტიურობის გამო – და ვერ აღუდგნენ წინ იმას, რაც მოხდა. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ სახალხო ფრონტის დეპუტატები გონიერული და პატიოსნური კრიტიკით გამოდიოდნენ პრეზიდენტ გამსახურდიას პოლიტიკისა და პრაქტიკის მრავალი არსებითი პუნქტის მიმართ, და ასევე იქცეოდნენ ყოფილი რესპუბლიკელების დეპუტატები, ხოლო „ქარტია-91“-ის დეპუტატები, რომლებიც უზენაეს საბჭოში „მრგვალი მაგიდის“ შემადგენლობაში იყვნენ არჩეულები, მთელ რიგ საკითხებში დაუპირისპირდნენ „მრგვალი მაგიდის“ დანარჩენ ნაწილს, ალალი და პატრიოტულად განწყობილი ადამიანების ძალიან ფართო მასის თვალში პირველ ორს ამ პარტიათაგანს მომხდარი ტრაგედიის უნებური პოლიტიკური მომზადება მიეწერა, მესამეს კი „მრგვალ მაგიდაში“ ბზარის შეტანა. როცა ჰორიზონტზე უკვე ძალმომრეობის, მაშასადამე – კანონსაწინააღმდეგო და ანტიქართული მოქმედების პერსპექტივა გამოიკვეთა, უკვე გვიანი იყო. როცა თოფი გავარდა და ქართველის მიერ სისხლი დაიღვარა, ეს სამივე ჯგუფი მოვლენებისაგან განზე აღმოჩნდა და იოტისოდენადაც კი ვერ იმოქმედა ტრაგედიის შესაჩერებლად. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ჩვენი გაერთიანებული პარტიის საარჩევნო დამარცხება იყო ჩვენდამი ხალხის ფართო მასის უყურადღებობის შედეგი, რაც სავსებით დამსახურებული პასუხი იყო ხალხის მხრიდან ამ პარტიების უმოქმედობაზე იმ დროს. როგორც მოგეხსენებათ, პოლიტიკურად არცთუ გამოცდილმა და ბრძნულად შედგენილი სამოქმედო პროგრამებით არცთუ ბრწყინვალედ აღჭურვილმა ბლოკმა „XXI საუკუნემ“ მაშინ თავისუფლად გადალახა 5%-იანი საარჩევნო ზღვარი და პარლამენტში ვერ აღმოჩნდა მხოლოდ იმ უსირცხვილო ფალსიფიკაციის გამო, რომელზედაც წავიდა ხელისუფლება. მკვდარმა ზ.გამსახურდიამ ბევრად უკეთესი საარჩევნო შედეგები მოიპოვა, ვიდრე – ცოცხალმა „ბრძენმა“ პოლიტიკოსებმა, რომელნიც ისევე უსახსროდ იმედოვნებდნენ საარჩევნო გამარჯვებას, როგორც „XXI საუკუნე“ იმედოვნებდა“. ამ მიზეზის თაობაზეც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგს მიაჩნია, რომ პარტიამ ვერ გაამართლა თავისი საპარლამენტო საქმიანობის პროცესში ის მოლოდინი, რომელიც მის მიმართ ჰქონდა მის ამომრჩეველთა ძირითად ნაწილს – კარგი ანუ ნამდვილი ინტელიგენციის ფართო ფენებს. პარტიისაგან მოელოდნენ არა კრიტიციზმს, არამედ კონსტრუქციულ შემოქმედებით მუშაობას. საბუთად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიის და დასის ბლოკმა „11 ოქტომბერი“ ადვილად გადალახა საარჩევნო ზღვარი. ამის საპასუხოდ უნდა მოგახსენოთ, რომ 1992 წლიდან 1995 წლამდე პოლიტიკურ ფასეულობათა ერთგვარი გადაფასება მოხდა. შევარდნაძის პოლიტიკის წარუმატებლობამ, კერძოდ და განსაკუთრებით კი აფხაზეთში დამარცხებამ გაზარდა ზ.გამსახურდიას მმართველობის ავტორიტეტი და გაამწვავა ნეგატიური დამოკიდებულება მისი ყოფილი ოპოზიციის მიმართ.

ხსენებული ორი ახსნა არ გამორიცხავს[illegible] ამომრჩეველთა ერთი ნაწილი, რომელიც პატრიოტულ პოზიციაზე იდგა და „11 ოქტომბერს“ [illegible] ემხრობოდა, ხოლო „XXI საუკუნის“ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ (1995) ამ უკანასკნელს მიემხრო, ხოლო იმათ, ვინც „11 ოქტომბერს“ ხმას მისი შემადგენელი პარტიების აზროვნების კონსტრუქციული სტილის გამო აძლევდნენ, მართლაც გული აუცრუა ამავე პარტიების მუშაობამ პარლამენტში.

დღეს, ჩემის აზრით, ერთადერთი სწორი შეხედულება საკუთარ თავზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელ ამ ფრთას, რომლის მოქმედება გადატრიალების თვეებში ზემოხსენებული სამისას ემთხვევა, ასეთი შეიძლება იყოს: ჩვენ საკუთარი თავი უნდა განვიხილოთ როგორც საჯარიმო ბატალიონის ჯარისკაცები, რომელთაც ისღა დაგვრჩენია, რომ სულის ამოხდამდე თავდადებულად ვეცადოთ ჩვენი წვლილის შეტანას საქართველოს გამოყვანაში იმ საშინელი განსაცდელიდან, რომელშიც იგი დღეს იმყოფება.

საარჩევნო დამარცხების შემდეგ პარტიიდან გავიდნენ მრავალნი, მათ შორის ეროვნული კომიტეტის თითქმის ორი მესამედი. ზარალი განვიცადეთ რეგიონთა ორგანიზაციაშიც. ჯამში ჩვენი მუშაობა პარალიზაციის ზღვარზე აღმოჩნდა. ამის მომდევნო პერიოდში ჩვენ ვაგრძელებდით გაზეთის გამოცემას, გამოვეცით ამავე გაზეთის რამდენიმე სპეცნომერიც. ჩვენმა გაზეთმა „საქართველომ“ მყარად მოიპოვა თავისი ე.წ. „ნიშა“ ჩვენი პრესის მთლიან სპექტრში და, მაშასადამე, ჩვენი აზრის მიმართულებამ – საქართველოს პოლიტიკური აზრის მთლიან სპექტრში. დღეს საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის ხანა, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, უკვე მთავრდება. და ესაა მიზეზი, რომ ჩვენს პარტიასაც ახალი ამოცანების შესაბამისად დღეს ახალი აქტივობა ჰმართებს.

ახლა ნება მომეცით, ანალიტიკურად დავახასიათო საქართველოს თავს დამდგარი განსაცდელის ძირითადი პარამეტრები და, აქედან გამომდინარე, პარტიის მოქმედების ჩემის აზრით ოპტიმალური სტრატეგია და ტაქტიკა მოვხაზო.

1. საქართველოს ემუქრება *ტერიტორიული დაშლა* თუ საქართველოს პარლამენტი დააკანონებს ან თუ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება დროზე არ მოშლის კანონსაწინაამდეგო „სამხრეთ ოსეთს“ შიდა ქართლში, ეს, ჯერ ერთი, იმას ნიშნავს, რომ შეიდასათასიანი ოსი ერი შეეჩვევა ამ მიწის თავის ეთნიკურ ტერიტორიად ჩათვლას და გაათკეცებული ენერგიით შეებრძოლება ჩვენს შეილებსა და შვილიშვილებს მის წასართმევად. მეორეც, იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს წინაშე დადგება კაცობრიობის ჰარმონიზაციის მიზნით ორი „ოსეთის“ გაერთიანების პრობლემა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ანალოგიური პრობლემები ყოველთვის დადებითად წყდება. გერმანიისთვის იგი უკვე გადაწყდა, ხოლო კორეისათვის იგი გადაწყვეტაზეა მიმდგარი. დღეს ჩვენი მტრების საქმეს ამ ზონაში, ჩვენდა სამწუხაროდ, გარკვეული საერთაშორისო მხარდაჭერა აქვს ეუთოს საქართველოს მისიის სახით, რომელიც ჯიუტად გვთავაზობს რეკომენდაციებს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შექმნის თაობაზე და არ ისმენს არც მეცნიერულსა და პოლიტიკურ არგუმენტაციას – ჩვენი მხრიდან, რომელიც ამომწურავია, არც მოწმეთა ხმას ქართველი განადგურებული მოსახლეობის სახით. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ადგილი აქვს საერთაშორისო შეთქმულებას საქართველოს წინააღმდეგ ამ საკითხში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არაერთხელ ხმარობს კანონსაწინააღმდეგო გამოთქმას „სამხრეთ ოსეთი“, ამ შეთქმულების ხელშემწყობად გვევლინება.

მოგეხსენებათ, რომ გამოუცხადებელ ომში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა ჩვენ გვაიძულა აფხაზეთში ჩვენს იურისდიქციაზე de facto დროებითად ხელი აგვეღო და ქართველი მოსახლეობის მიმართ ჩატარებული გენოციდი დამნაშავეთათვის შეგვერჩინა. ამ ომში მონაწილეობდ-

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცით რას ეძახიან დღეს თბილისის ციხეს? შევარდნაძის მეგობრების საერთო საცხოვრებელს

*მოსკოვის პოპულარულმა ყოველკვირეულმა „Новая газета"-მ ახლახან მთელი გვერდი დაუთმო ქართველ რესპუბლიკელ დავით ბერძენიშვილს. პუბლიკაცია მოამზადა 1996 წ. რუსეთის საუკეთესო ჟურნალისტად მიჩნეულმა „ოქროს კალმის" პრემიის ლაურეატმა ზოია ეროშოკმა. რუსეთის წამყვანი საინფორმაციო საშუალებები (ტელეარხი НТВ, რადიო „Эхо Москвы", სააგენტოები) ოპერატიულად გამოეხმაურნენ პუბლიკაციას სათანადო ფრაგმენტების ციტირებით.*

*გთავაზობთ ამ წერილს მცირეოდენი შემოკლებით.*

# დროა ვისწავლოთ არ გვძულდეს



*დავით ბერძენიშვილი ბათუმში დაიბადა. მამამისი დიდხანს აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. შემდეგ მუშაობდა მოსამართლედ, ადვოკატად, დედა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. დავითს ორი ძმა ჰყავს – ლევანი შვიდი წლითაა უფროსი, მამუკა ცხრა წლით. საშუალო ძმას აინტერესებდა პოლიტიკა, მისგან დაიწყო ყველაფერი. ძმებს და მათ მეგობრებს სურდათ დაემტკიცებიათ (საკუთარი თავისა და ქვეყნისთვის), რომ არიან სხვა ქართველებიც და 1978 წ. გაზაფხულზე შექმნეს რესპუბლიკური პარტია, დაიწყეს არალეგალური ჟურნალის გამოცემა, რისთვისაც დააპატიმრეს.*

## სხვა ქართველები

ჩვენი მიმართულება ძალიან მკვეთრი იყო. ჩვენ არ ვთვლიდით თავს დისიდენტებად (ამაზე ჟურნალებშიც ვწერდით) ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, რადგან დისიდენტები ფორმალურად ითხოვდნენ კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლის დაცვას, ისინი ცნობდნენ საბჭოთა კონსტიტუციას.

ჩვენ კი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას ჩვენთვის აუცილებლად არ მივიჩნევდით და მოვუწოდებდით ხალხს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

ჩვენ ვიცოდით, რომ გაგვასამართლებდნენ, ჩვენც ეს გვსურდა. გვინდოდა, ჩვენი სასამართლო მნიშვნელოვან მოვლენად აღქმულიყო. ვფიქრობდით, რომ სასამართლოს მეშვეობით შევძლებდით ხმამაღლა და პირდაპირ გვეთქვა ქართველობისთვის – დადგა ჩვენი უფლებებისთვის ბრძოლის დრო.

მაშინ მეგონა, რომ პიროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოთხოვნილება ქართველების დიდ ნაწილს ჰქონდა.

შემდეგ დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ჩვენი საქმიანობა მხოლოდ ჩვენნაირებს სჭირდებოდა. საქართველოში კი ყრუ „ზასტოი" იყო.

## დაპატიმრება

1979-1980 წწ. დაპატიმრება მსურდა, 1982-1983 წწ. ეს სურვილი უკვე გამიქრა. მივხვდი, რომ ჩემი ბუნებით არა ვარ რევოლუციონერი და არც მიზიდავდა რევოლუციონერობა. გამიჩნდა პრობლემები: რა დაემართებათ მშობლებს? მათზე ბუნებრივია, ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ არა ასე მძაფრი ფორმით... ვიყავი შეყვარებული, და ეს უცნაური ალტერნატივა – დავქორწინდე თუ არა.

რადგან მხოლოდ ორი წელი მომცეს, ჩვენ ჩემი გათავისუფლების შემდეგ შევუღლდით.

1983 წ. 23 ივნისს დამაპატიმრეს. საკანში აღვიდგინე იმ დროისთვის შერყეული ფსიქოლოგიური წონასწორობა: ძიების დროს ჩვენების მიცემაზე უარს არ ვამბობდი, თუმცა, ჩვეულებრივ, ორი სიტყვით შემოვიფარგლებოდი ხოლმე: „არ ვიცი, არ ვილაპარაკებ". ეს აიოლებდა ჩემს იქაურ ყოფას, საკანში გამოუსვლელად ჯდომა ძნელია, დერეფანში გასვლა, საფეხურებით კიბეზე ასვლა და გარემოს შეცვლა უკეთესია.

მამაჩემმა სასამართლო პროცესის დროს დემონსტრაციულად გაშალა გაზეთი და კითხვა დაიწყო. შემდეგ მითხრა: მე ხომ ვიცი საბჭოთა სასამართლო რა არის...

ყველა მშვენივრად ხვდებოდა და არც მოსამართლე მალავდა მაინცდამაინც, რომ იგი მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობისა და სუკის ნების აღმსრულებელია. სასამართლოზე ზომიერები ვიყავით.

## ზონა

გენერალურ პროკურორს პროტესტებს არ ვწერდი, არ ვითხოვდი ვადამდელ განთავისუფლებას, რადგან იმ ხელისუფლებას კანონიერად არ ვთვლიდი.

გორბაჩოვმა რომ ჩერნენკო შეცვალა, ჩვენ რამდენიმე საათით ადრე გავიგეთ, ვიდრე საბჭოთა საზოგადოებრიობამ. მოვიდა ჩვენთან ზონაში ერთი ჩეკისტი და გვითხრა: აბა ბიჭებო, მოდით ვიცხოვროთ მეგობრულად, თქვენი კაცი გახელისუფლდა. ჩეკისტი ახალგაზრდა იყო.

ერთი ზედამხედველი ძალიან გაბრაზებული იყო გორბაჩოვზე. ზედამხედველს სმა უყვარდა. 1985 წლის 1 ივნისს კი შემოიღეს ანტიალკოჰოლური კანონი. და აი, ეს ზედამხედველი არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდა ზონაში და უსმენდა ჩვენს საუბარს. დიდხანს გვისმინა, ვერაფერი გაიგო და შეწუხებულმა ჩაილაპარაკა ჩვენზე: „ყველაფერი მორდოვეთივით გაუგებარია".

ზონიდან გამომიშვეს დახასიათებით: „არ დაადგა გამოსწორების გზას".

## თავისუფლება — პირველი პირობა

საქართველოში პოლიტოლოგია არ იყო. სოციოლოგიაც თითქმის არ იყო. თითო-ოროლამ თუ იცოდა რა არის ეროვნული იდენტურობა, სუვერენიტეტი, რომ ერის ცხოვრება ყოველდღიური პლებისციტია და ა.შ.

მერაბ მამარდაშვილი ეუბნებოდა ქართველობას, რომ თავისუფლება საკუთარი თავის შეცნობის აუცილებელი პირობაა, რომ თავისუფლება ჩვენ, ქართველებს, გვჭირდება არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ გვქონდეს საშუალება, ჩავღრმავდეთ საკუთარ თავში და ვეძებოთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

ქართველობა დამოუკიდებლობას მოუმზადებელი შეხვდა. 60-80-იან წწ. აშკარად ჩანს ქართველი საბჭოთა ადამიანის ტიპი, ქართული საბჭოთა გარემო, სადაც დარღვეულია შეუპოვრობასა და კომპრომისს შორის ბალანსი.

ქართული ინტელიგენცია ხელისუფლების მიერ მონიშნული ფუნქციებს ასრულებს, ნომენკლატურული ინტელიგენცია ხელისუფლების ნაწილია, ხოლო პოლიტიზირებული ინტელიგენციის სხვა ფრთა კი – პატრიოტი ანტიკომუნისტები, მეტწილად დემოკრატიული ღირებულებების პრიორიტეტის გარეშე.

*ზოია ეროშოკი – მე მესმის, სერგეი დოვლატოვმა რატომ თქვა მაშინ: „კომუნისტების შემდეგ მე ყველაზე უფრო მალიზიანებენ ანტიკომუნისტები".*

## დისიდენტების შესახებ

ქართულმა დისიდენტურმა მოძრაობამ, ჩემი აზრით, საქართველოს მეტი ავნო, ვიდრე წაადგა. როცა ხალხს მოულოდნელად ზემოდან არჩევანის უფლებას მისცემენ, იგი ადვილად აძლევს საკუთარ ხმას კერპს. ქართულ დისიდენტურ მოძრაობაში რომ გამოჩენილიყო კაცი, რომელიც ერთდროულად იქნებოდა ავტორიტეტულიც, ნორმალური წესიერი პატრიოტიც და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში კომპეტენტურიც– მაგრამ ჩვენთან იყო ის, რაც იყო. ჩვენ გვყავდა გამსახურდია.

1990 წელს ხშირად მეკითხებოდნენ: „რატომ არ გიყვართ გამსახურდია?" პასუხი ძნელი იყო. მე ვცდილობდი მეთქვა, რასაც ვფიქრობდი, მაგრამ ჩემი პასუხები ბევრს არ მოსწონდა. მათ მაშინ ეგონათ, რომ გამსახურდია ყველაზე კარგია.

## გამსახურდია

გამსახურდია ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას განასახიერებდა. მაგრამ იგი ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად გაუწონასწორებელი ადამიანი იყო. მას უყვარდა საქართველო, ქართველებში კი მხოლოდ მისი მომხრეები. მხოლოდ მათ პრეზიდენტად თვლიდა თავს.

გამსახურდია მოუმზადებელი იყო პოლიტიკური პლურალიზმისათვის. ოპოზიცია კი იზრდებოდა და ძლიერდებოდა... უზენაესი საბჭოს სესიები სამი თვის განმავლობაში ბუნკერში მიმდინარეობდა. ოპოზიციის მიტინგებზე ქართული გვარდიის გამოჩენამ მკვეთრად გააუარესა მდგომარეობა.

ვიყავით რა ძალიან აქტიური ოპოზიციონერები, სამწუხაროდ, ვერ შევაფასეთ ასეთ საქმეებში სამხედროების ჩართვის ხიფათი და გონს გვიან მოვედით. ნათელი გახდა, რომ მალე სისხლი დაიღვრებოდა. ამაში მე საკუთარ თავსაც ვადანაშაულებ...

ორი კვირა მიმდინარეობდა ბრძოლა ერთი შენობისათვის. რუსის ჯარი ეხმარებოდა ერთსაც და მეორესაც, უპირატესად კი მაინც აჯანყებულებს – ისინი გახელისუფლდნენ საქართველოში.

## შევარდნაძე

XX ს. ბოლო მეოთხედის საქართველო გამსახურდია-შევარდნაძის დაპირისპირება – „პარტნიორობის" არენად იქცა. არაორგანიზებული ეროვნული და დემოკრატიული ძალების მცდელობა, ამ „ტანდემის" ალტერნატივა გამხდარიყო, უშედეგოდ დამთავრდა.

შევარდნაძის ფსევდო-დემოკრატიული რიტორიკა ავტორიტარობის მაღალი წილის მქონე მისი მმართველობის კოსმეტიკური საშუალებაა. ხალხმა დაკარგა დემოკრატიული იდეალების რწმენის ჩანასახიც. შედეგად საქართველოს მოქალაქენი თავს მოტყუებულად თვლიან – დაისადგურა აპათიამ, მიმდინარეობს ზნეობრივი ნორმების, ეროვნული და დემოკრატიული ღირებულებების დევალვაციის პროცესი.

ქართველ ინტელიგენტებს დღეს დუხჭირი ცხოვრება აქვთ. ამასთანავე, ქართული ინტელიგენცია, როგორც სოციალური ფენა ირღვევა და მე ვიმედოვნებ, რომ არცთუ შორეულ მომავალში ეს ფენა გაქრება. იქნებიან ინტელექტუალები და არ იქნება ტოტალიტარული რეჟიმის პირმშო – ინტელიგენცია.

## გულისწყრომისა და საყვედურის გარეშე

საქართველოს წინა პარლამენტში საკმაოდ ვიყავით შევარდნაძის პირველი მეფობის დროს დაპატიმრებულები. მინდა აღვნიშნო: არავის, მათ შორის არც ქალბატონებს, არ დასცდენიათ საყვედური წარსულის გამო. დროშად არ გვიქცევია ფრაზა: ჩვენ ვისხედით შევარდნაძის დროს. საერთოდ არ ვითვალისწინებდით ამ ფაქტორს.

თავად შევარდნაძე შესაძლოა ამას უფრთხოდა. ახლა მე შევარდნაძეს ვაკრიტიკებ არა იმისათვის, რაც ხდებოდა მაშინ, არამედ იმისათვის, რაც ხდება დღეს და აქ.

## ორივე უარესია?

საქართველოში ხელმეორედ, ამჯამად „ანტიკომუნისტად" გახელისუფლების შემდეგ შევარდნაძე კი გახდა სტაბილურობის ფაქტორი, თუმცა ყველაფერი ქნა, რომ სტაბილურობის სხვა ფაქტორები აღარ ყოფილიყო.

ერთხელ მე ვუთხარი გამსახურდიას – საქართველოში არასტაბილურობის მთავარი ფაქტორი პრეზიდენტის ფსიქოლოგიური გაუწონასწორებლობაა-მეთქი. უზურპატორიც ვუწოდე. მან მიპასუხა, რომ სულაც არ არის უზურპატორი (მართლაც იყო). „მე ყველაზე საცოდავი პრეზიდენტი ვარ მსოფლიოში. არცერთი ჩემი ბრძანებულება და ჩემს მიერ ხელმოწერილი კანონი არ სრულდება. მე ვარ ქაღალდის პრეზიდენტი" – ეს მისი სიტყვებია.

## ჯაბა იოსელიანის შესახებ

1993-94 წწ.-ში საქართველოს პოლიტიკური ხელისუფლება შევარდნაძე-იოსელიანის კოალიციას წარმოადგენდა. შევარდნაძე კარგად იყენებდა იოსელიანის სამსახურს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ერთად აწერდნენ ხელს სულელურ დოკუმენტებს. შევარდნაძე ახლა ყველაფერს იოსელიანს აბრალებს – „დრო იყო ასეთი".

იოსელიანი ყოფილი კანონიერი ქურდია. იგი სიკვდილმისჯილთა საკანშიც ყოფილა. შემდეგ „პოლიტიკაში" ისეთი „მწვერვალები" დაიპყრო, რომ სახელმწიფოს მეთაურის უფროსსაც კი ეძახდნენ. იქნებ იგი საკუთარი შესაძლებლობების ზღვარს ეძებდა და ვფიქრობ, მშვენივრად იცოდა, რომ ან მოკლავდნენ, ან დაიჭერდნენ. იგი არავის მოუკლავს – ის ელოდა როდის ჩასვამდნენ. და აი, ახლა ზის.

ხანდახან ვხუმრობთ, რომ ჩვენ გადავრჩით იმიტომ, რომ არ ვიყავით შევარდნაძესთან განსაკუთრებით დაახლოებული პირები.

იცით, რას ეძახიან დღეს თბილისში ციხეს? შევარდნაძის მეგობრების საერთო საცხოვრებელს.

## მთავარი კითხვა

ქართველები მცირერიცხოვანი ხალხი ვართ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციით. ჩვენი ლიტერატურა V საუკუნიდან იწყება. ისტორია და ტრადიციები უმთავრეს ფუნქციას ასრულებდნენ ქართველობის გადარჩენაში. საქართველოში უყვართ თქმა: ჩვენ რუსთაველის ერი ვართ. ხანდახან ვფიქრობ: ვიმსახურებთ კი თავად რუსთაველს? ვხუმრობ, რა თქმა უნდა, თუმცა, ყოველ ხუმრობაში...

*ზოია ეროშოკი: წარსულს დავით ბერძენიშვილი შეეძლო ექცია ისეთ პროფესიონალ დამნგრევად, როცა ნგრევის ინსტიქტი შემოქმედებითი წვის მასშტაბებს იძენს, მაგრამ ეს არ მოხდა. იგი გაწონასწორებული, სერიოზული, წინდახედული ადამიანია.*

ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით რუსეთსა და საქართველოზე. „არ გწყინს რუსეთზე ჩემი გამონათქვამები?" – მეკითხებოდა იგი. ძნელი იყო ადვილად და უდარდელად პასუხის გაცემა – „კი" ან „არა". ხანდახან აღმოვაჩენდი, რომ სინამდვილეში უფრო რუსი ვარ, ვიდრე თავი მგონია; მაგრამ ადამიანები ხომ ისე უნდა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, როგორც ადამიანები და არა, როგორც სახელმწიფოები?!

საშიშია არა ვინმეს მკვეთრი გამონათქვამები, არამედ ის, რასაც არაერთხელ შევეჩეხეთ, როცა ვერ გამოვამჟღავნეთ უნარი, დავფიქრებულიყავით და აღგვექვა რაიმე, საკუთარი სიბნელე გვიშლიდა ხელს.

## რა შეუძლია რუსეთს კავკასიაში?

სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენი სუვერენიტეტის საკითხში საბოლოო სიტყვა რუსეთს სულაც არ ეკუთვნის.

შეიმჩნევა გარკვეული ანალოგია რუსეთის ფედერაციასა და სსრკ-ს შორის. საბჭოთა კავშირმა ვერ შესძლო ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის გამოჭედვა. რუსეთის ფედერაციაშიც მიმდინარეობს ახალი ისტორიული ერთობის – Россияне-ს შექმნის მცდელობა. რუსეთი თავის განუყოფელ გავლენის სფეროდ მიიჩნევს СНГ-ს. ორივე მიმართულებით მას არ ჰყოფნის ძალები.

მერაბ მამარდაშვილმა ერთხელ თქვა: „რუსეთი არსებობს არა რუსებისთვის, არამედ რუსების მეშვეობით". შესაძლოა, საკუთარი თვითიდენტურობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით რუსებმა დაიწყონ რუსეთის, როგორც საკუთარი სამშობლოს შენება.

ჩვენ კი, ქართველები, სტრატეგიულად ჩვენს მომავალს ვუკავშირებთ ჩვენი ქვეყნის მშობლიურ წიაღში – ევროპაში დაბრუნებას. ასეთი იყო ჩვენი ისტორიული ორიენტაცია არგონავტების დროინდელი კოლხეთის სამეფოდან მოყოლებული. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არჩევანს, როცა ამის საშუალება გვქონდა, ჩვენი რელიგიიც, კულტურით, სახელმწიფოებრივი წყობილებით დასავლეთის სასარგებლოდ ვაკეთებდით. დღესაც რუსის ჯარისაგან თავისუფალი კავკასიის (თუნდაც შავი და კასპიის ზღვების შემაერთებელი ყელის) პერსპექტივას ევროკავშირში ვხედავთ და არა რუსეთის „ახლო აღმოსავლეთში", რადგან იქ არ არის თავისუფლების გარანტია. თავისუფლებას კი ალტერნატივა არა აქვს.

*ზოია ეროშოკი: გახსოვთ ეროფეევთან „Москва петушки"-ში სულისშემძვრელი, ძალიან რუსული კითხვა: „უყვარვართ ჩვენ პირენეის იქითა მხარეს?"*

პირენეის იქითა მხარეს უყვართ ისინი, ვინც ცხოვრობს პირენეის იქითა მხარეს და ეს ნორმალურია. ერთ პოლიტიკურ სემინარზე გერმანიაში, რომელშიც დავით ბერძენიშვილი მონაწილეობდა, ელცინის საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა, პროფესორმა ალექსეი სალმინმა ბრწყინვალედ თქვა: „იდენტურობა – ესაა სხვები. იდენტურობა – ესაა ჩვენი მეზობლები, რომელთა შესახებაც ჩვენ ვქმნით სიტყვებს და ვიქმნით აზრს. საქმე ის კი არაა, მეზობლები გვიყვარდეს. საქმე ისაა, ისინი არ გვძულდეს.

„Новая газета"
28 აპრილი – 4 მაისი, 1997 წ.

*მეოთხე გვერდიდან*

ნენ რუსეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალთა ნაწილები და ქვედანაყოფები, მაგრამ რუსეთს თავისი დროშა არ გაუშლია და ჩვენთვის ომი არ გამოუცხადებია. ამგვარი მასშტაბის საბრძოლო მოქმედებას საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო მორეოდა თავის საბრძოლო შესაძლებლობათა ამოქმედებისა და მობილიზაციის გზით და ამავე დროს ვალდებული იყო პოლიტიკურად (იურიდიულად) დაეფიქსირებინა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო მოქმედების ფაქტი, რათა რუსეთისათვის ამ მოქმედების გაფართოების საშუალება აღეკვეთა. ეს საქართველოს ხელისუფლებამ არ გააკეთა. დღეს არძინბას დანაშაულებრივი ხროვა, რომელზედაც სანქციები ჯერაც გაცემული არაა, მოლაპარაკებათა სუბიექტად ფიგურირებს. არძინბა მშვიდად ესაუბრება უცხოელ დიპლომატებს და ხიბლავს მათ თავისი მჭერმეტყველებით. აფხაზეთში მიმდინარეობს უცხოელთა ჩასახლება და ტერიტორიის განუხრელი გამაგრება, საფორტიფიკაციო ობიექტთა მშენებლობა, ხოლო ლტოლვილ ქართველ მოსახლეობაში ფაქტობრივი და ზნეობრივი დაქუცმაცების, დემორალიზაციისა და სასოწარკვეთის ბუნებრივი პროცესი.

ჩვენს ქვეყანას ემუქრება ტერიტორიული პრეტენზიებით შთაგონებული ომი ჯავახეთის სამხრეთ მეზობელთა მხრიდან და – შესაძლო პერსპექტივაში – ანალოგიური მოვლენები ქვემო ქართლის მეზობელთა მხრიდან; გვემუქრება უცხოეთიდან ხელშეწყობა მესხეთიდან გასახლებული მოსახლეობის შთამომავალთა, აგრეთვე სომხეთიდან 1944 წელს გასახლებული მუსლიმანი მოსახლეობის შთამომავალთა ჩვენგან არარეგულირებული (ხაზს ვუსვამ: ჩვენგან არარეგულირებული) შემოსახლება ზემო ქართლში, რაც საქართველოსაგან ამ ტერიტორიის მომავალ ჩამოცილებას ნიშნავს.

2. საქართველოს ემუქრება *დამოუკიდებლობის დაკარგვის* საფრთხე. კერძოდ, რუსეთის და ბელორუსიის ერთ „კავშირად" შეერთება იმის მაუწყებელია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ორიენტირებულია „ხალხთა საპყრობილის" – სსრ კავშირის აღდგენაზე ამა თუ იმ ფორმით და ამა თუ იმ სახელწოდებით. რამდენადაც პირდაპირი შეიარაღებული თავდასხმა, განსხვავებით ამ საუკუნის ოციანი წლებისაგან, მას არ შეუძლია საერთაშორისო ფაქტორის გამო, მოსალოდნელია, რომ მან ამისათვის მიმართოს საქართველოს შანტაჟირებას შინაგანი ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის მუქარით. კერძოდ, რუსეთი შეეცდება დაგვაყენოს არჩევანის წინაშე ერთის მხრივ ტერიტორიების დაკარგვასა და მეორე მხრივ დამოუკიდებლობის დაკარგვას შორის და პირობები შექმნას მისთვის მომგებიანი რეფერენდუმისთვის საქართველოში ამ საკითხის გადასაწყვეტად. საქართველო ობიექტური პირობების მიხედვით *არაა* იძულებული, ამგვარი არჩევანის წინაშე დადგეს, ვინაიდან მას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, *შეუძლია* წარმატებით შეეწინააღმდეგოს რუსეთის ორსავე მცდელობას. მაგრამ შევარდნაძის მიმდინარე პოლიტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ხელისუფლებას შესაძლოა საქმე სწორედ აქეთკენ მიჰყავდეს და საკუთარი მოქმედებით შეგნებულად ქმნიდეს პირობებს მოვლენათა ზემოხსენებული განვითარებისათვის.

3. თუ საქართველომ დაუთმო ზემოხსენებულ შანტაჟს, მაშინ მას რეალურად ემუქრება მესამე და ყველაზე ალბათი პერსპექტივა – იმპერიაში ან იმპერიული შინაარსის მქონე სხვა გაერთიანებაში ჩათრევა და ამავე დროს ტერიტორიების ფაქტობრივი დაკარგვა. სახელდობრ, ამ ტერიტორიების დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაზე იქნება ფიქტიური და *ამავე დროს* საქართველოს ცენტრალური ქართული ხელისუფლების და ადგილობრივი არაქართული ხელისუფლების უფლებამოსილებათა კონტროლის ფუნქცია გადაეცემა საქართველოს გარეთ მდგომ საკავშიროსა და მსოფლიო ინსტანციებს. ბუნებრივია, რომ ეს ვითარება თავისთავად გამორიცხავს რომელიმე ასეთ ტერიტორიაზე ქართველი ერის დემოგრაფიული პოზიციების გაუმჯობესებას ან თუნდაც გაუარესებისგან დაცვას.

4. საქართველოში უკვე მოხდა, დღეს გრძელდება და თუ პოლიტიკური პირობები არ შეიცვალა, კვლავაც გაგრძელდება *ქვეყნის ეკონომიკური ნგრევა.* ამ პროცესს მართავს არა მარტო *მიზეზი,* სახელდობრ – ყოვლად გაუმაძღარი ყოფილი კომუნისტური ბიუროკრატიული მაფიის და ნაწილობრივ ახალი კლანური მაფიის განუყოფელი ბატონობა ეკონომიკაში, არამედ *მიზანიც,* სახელდობრ, რუსეთის ზეგავლენის სფეროდან საქართველოს გამოსვლისათვის ხელის შეშლა. იმ ხუთი წლის მანძილზე, რაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, საქართველომ ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადადგა ერთადერთი ეკონომიკურად პერსპექტიული საზოგადოებრივი ფენის – საშუალო კლასის შექმნის გზაზე, ისევე როგორც ვერ შექმნა სოფლად პირობები გლეხობის მიერ მიწის დამუშავებისათვის, რაც სოფლის მეურნეობის არსებითად ჩაგდების ტოლფასია და ქვეყანაში შიმშილის წყაროა. საქართველოში არა თუ წარმოება ვერ ამუშავდა, მინიმალურადაც კი, არამედ ვაჭრობაც კი სულის შემხუთავ არტახებშია მოქცეული ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან და ადმინისტრაციის მხრიდან. ეკონომიკური ნგრევა ორგანულადაა შეერთებული სახელმწიფოს მიერ მოქალაქის *სოციალური დაცვის* სრულ და პრინციპულ უარყოფასთან, რაც სრული ანაქრონიზმია ინდუსტრიის ეპოქაში და სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ არა როგორც შეგნებული შესუსტება, ძირის გამოთხრა ერის სოციალური პოტენციისა, შეგნებული დაქვეითებისკენ მიმართული ზომა, თავისუფალი ეკონომიკის ეპოქის გაყალბებულ პრინციპზე დაყრდნობით – „თუ მოქალაქე შიმშილით კვდება, ეს მისი პრობლემაა და არა სახელმწიფოსი" – მოსახლეობის უფართოესი მასა განწირულია შიმშილობისათვის, უქიმობისათვის და სოციალური უპერსპექტიობისათვის იმ ძირითადად კანონსაწინააღმდეგოდ გამდიდრებული ზედა ფენის ფონზე, რომელიც მოსახლეობის სულ რამდენსამე პროცენტს შეადგენს. ამ კონტრასტს აქვს ზრდის ობიექტური ტენდენცია და იგი იქნება მანამდე, სანამ არ შეიცვლება საწარმოო კანონმდებლობა, ერთის მხრივ, და სანამ სახელმწიფო ხელისუფლების მტკიცე ხელით არ აღიკვეთება დღეს ბიუროკრატიულ აპარატთან შეზრდილი მონოპოლისტური მაფიების ბატონობა ეკონომიკაში, მეორე მხრივ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს შეუძლებელია საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის ხელში.

5. ეკონომიკურ ნგრევას, ერთის მხრივ, და ყოველგვარ სოციალურ დაცვაზე ხელის აღებას, მეორე მხრივ, ორგანულად უკავშირდება მოსახლეობის *საყოველთაო გარანტირებულ განათლებაზე შეგნებული ხელის აღების* პოლიტიკა, რაც საქართველოსთვის კიდევ უფრო დიდი ხიფათია სამომავლოდ, ვიდრე ეკონომიკის ნგრევა თავისთავად აღებული. მაფიების განუკითხავი ბატონობით გამოწვეულ ხაზინის გაღატაკებას მოსდევს განათლებისათვის სახელმწიფო დაფინანსების უკმარისობა, ამ უკანასკნელს – სკოლების რაოდენობის და მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირება, ერთის მხრივ, და მასწავლებელთა უმუშევრობა, მეორე მხრივ. პირველის უშუალო შედეგია მოსწავლეთა კრიმინალიზაცია და კატასტროფული დემოგრაფიული ცვლილებები იმ მხრივ, რომ იწყება იმ სოფლების დაცლა, სადაც სკოლა არაა. ამ მოვლენათა განვითარების მთავარი პირობა ისაა, რომ ფასიანი განათლების შემოღებას, რაც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს და უნდა არსებობდეს, თან მოსდევს უფასო ანუ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული განათლების შეკვეცა და შემცირება, რაც სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ არა როგორც შეგნებული ხელის აღება განვითარებული მსოფლიოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მოსახლეობის ოდესმე ჩართვის პერსპექტივაზე.

ყველა ეს ხიფათი, რომელიც ჩამოვთვალეთ, რეალურად ძევს ჩვენი უახლოესი მომავლის პერსპექტივაში. უფრო მეტიც: ყველა გარდუვალია ან თითქმის გარდუვალია იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მართვა იმავე კურსით და იმავე წესით გაგრძელდა, როგორც დღესაა. საქართველოს ელის დაშლა ან, სულ ცოტა, შეკვეცა ისეთ ზომამდე, რომლითაც მას აღარ შეეძლება იყოს არა თუ გლობალური პოლიტიკის, არამედ რეგიონული პოლიტიკის სუბიექტიც კი. ასეთებად კავკასიაში დარჩებიან მხოლოდ აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი და, შესაძლოა, დაღესტანი და დას.კავკასიური კონფედერაცია (აფხაზეთითურთ). ქართველ ერს მოელის დაშლა, რასაც გადამწყვეტი ზომით ხელს შეუწყობს შევარდნაძის მიერ დაგეგმილი ფედერალიზაცია, ხოლო ქართულ ეროვნულ თვითცნობიერებას პროვინციულ თვითცნობიერებათა სიმრავლედ დაწვრილერთეულება სულ რამდენიმე თაობაში. ქართველ ერს ელის უმიწაწყლოდ ანუ უსახლკაროდ და ბოგანოდ დარჩენა მსოფლიოში, რომელიც მესაკუთრეებისაგან, ანუ თავ-თავის ტერიტორიებზე გაბატონებული და მოწყობილი ერებისაგან იქნება გარდუვალად შემდგარი; მას ეს ელის როგორც თითქმის გაუნათლებელ ადამიანთა მასას, რომელიც ამ გაუნათლებლობის გამო ვერ ებმება წარმოების თანამედროვე გართულებულ პროცესში, არამედ დაბალი კვალიფიკაციის და საეჭვო რეპუტაციის მომსახურე პროფესიებითღა ირჩენს დროებით თავს.

რა უნდა მოვიმოქმედოთ და რა შეუძლია სგრპ-ას, რათა მოვლენათა მდინარება მკვეთრად შეტრიალდეს და საქართველო ამ პერსპექტივას გადაურჩეს? ეს კითხვა რეალურია, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკის ყველა ზემოხსენებულ განზომილებაში, რომელშიც კატასტროფა გვემუქრება ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის გამო, არსებობს ალტერნატიული ვარიანტი, რომლის განხორციელებაც წარმატების რეალურ პერსპექტივას ქმნის. ეს ვარიანტები ხელთ გვაქვს და მათი შემდეგი დახვეწა ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა. ამ ვარიანტებს მოგახსენებთ და მოგართმევთ სგრპ-ს პლატფორმის პროექტის სახით. ამჟამად მოგახსენებთ მხოლოდ მოქმედების იმ ხაზზე, რომლის არჩევა, ჩემის აზრით, სგრპ-ს ჰმართებს, რათა საქართველოს პოლიტიკა ამ მომგებიანი და ქვეყნის ინტერესებთან შესაბამისი კურსით წარიმართოს. ასეთი ამოცანა, მე მგონი, სამი სახისაა:

*პირველი,* სგრპ-მ უნდა იბრძოლოს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლისათვის და, მაშასადამე, კურსის შეცვლისათვის. ამას რეალური სახე ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არსებული ეროვნული ძალები ერთიანი ფრონტით გამოვლენ ამ არჩევნებზე. თქმულიდან გამომდინარე, სგრპ-ს ჰმართებს გულმოდგინე ორგანიზაციული მუშაობა ამ ფრონტის შესაქმნელად. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკური ლოზუნგის წამოყენება მოქმედების ამ სახის ერთ-ერთი კომპონენტია.

ამ ამოცანის განუყოფლად თანმხლები ამოცანაა ყველა სახელმწიფოებრივად საჭირო ფუნქციისათვის სათანადოდ დასპეციალებული და საქართველოს ერთგული ადამიანების მუდმივი ყოლა და მათ გაზრდაზე ზრუნვა, ანუ ე.წ. „ჩრდილოვანი კაბინეტის" ყოლა, ამავე დროს სახელმწიფო პოლიტიკის პროგრამათა ქონა, მათი მუდმივი ხვეწა და ახალ-ახალ ამოცანებთან მისადაგება. ცხადია, რომ ეს ამოცანა მოითხოვს უდიდეს ინტელექტუალურ ძალისხმევას როგორც სგრპ-ისაგან, კერძოდ, ისე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან საერთოდ. ჩვენი პარტიისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა შეიქმნას პარტიასთან საბჭო, რომლის ამოცანა იქნება ზემოხსენებული დიდი ინტელექტუალური ძალისხმევის განხორციელება საკუთარი ძალით და ხალხის ფართო ფენიდან სათანადო პიროვნებათა მოზიდვით. მე მგონი, ჩვენ დღესვე შეგვიძლია და უნდა გამოვყოთ მცირე საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თავს მოაბამს ამგვარი საბჭოს შედგენას. ეროვნული ძალების უპირატესობა ხელისუფლების არსებულ სტრუქტურებთან შედარებით ამ ამოცანებთან მიმართებაში დღეს ის გახლავთ, რომ საქართველოს მოსახლეობის და კერძოდ არაკომუნისტური ინტელიგენციის გონებრივი პოტენციალი შეუდარებლად უფრო მაღალია, ვიდრე დღევანდელი ნომენკლატურული ფენების პოტენციალი. სამაგიეროდ ეროვნული ძალების მინუსი ის გახლავთ, რომ მათ ნაკლები მისასვლელი აქვთ ინფორმაციასთან მიმდინარე პროცესების შესახებ, ვიდრე ხელისუფლებას. ეს განსხვავება გადალახვადია და ეროვნულმა ძალებმა, სგრპ-ის ჩათვლით, უნდა გადალახონ იგი პირველადი ინფორმაციის მოპოვების სათანადო გზის გამონახვით.

მეორე ამოცანა ასე შეგვიძლია დავაფორმულოთ. ვინაიდან ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკაც და ყოველდღიური მოქმედებაც ძალიან ხშირ შემთხვევაში მიმართულია არა საქართველოს ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, არამედ მათ საწინააღმდეგოდ, სგრპ-ის და საერთოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ფუნქციად ხდება საქართველოს ეროვნული ინტერესებისაკენ მიმართული პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამეურნეო და სხვა სახის ღონისძიებათა განხორციელება *საკუთარი ძალით,* ხელისუფლებისათვის გვერდის ავლით, თუმცა, რა თქმა უნდა, კანონიერების ფარგლებში. მოგახსენებთ ერთ მაგალითს. უკვე ვთქვი, რომ დღეს ხორციელდება საერთაშორისო შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ ცხინვალის რეგიონში „ოსეთის" შექმნის სახით. სგრპ – და, იმედია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საერთოდ – შეუვალი არგუმენტაციით მიმართავს მსოფლიოს ძირითად საერთაშორისო ორგანიზაციებს და შეკრებს სათანადო ხელმოწერებს, რათა შექმნას ამ ანტისახელმწიფოებრივი აქტის არდაშვების ან მისი მომავალში გაუქმების საფუძველი. ამაში მას ხელისუფლება ხელს ვერ შეუშლის. ანალოგიურად, ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ სამხედრო ამოცანებისთვის ადამიანთა მომზადება კანონიერების ფარგლებში (უიარაღოდ), შეგვიძლია დავამყაროთ ეკონომიკური და სხვა სახის კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ა.შ.

მესამე ამოცანა შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ასე: ვინაიდან მოსალოდნელია, რომ საქართველოს გადარჩენისაკენ მიმართულ მოღვაწეობას უახლოეს წლებში ექნება გამძაფრებული პოლიტიკური ბრძოლის ხასიათი, სგრპ, ისევე როგორც ყველა სხვა ეროვნული დემოკრატიული ძალები, მზად უნდა იყოს ქუჩის პროცესების დაცვისათვის ხულიგნური და პროვოკაციული ჩარევებისაგან საკუთარი ძალებით. ამისთვის მას თავის წევრთა შერჩევა, მათი ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადება ჰმართებს.

ასეთი გახლავთ მოკლედ ჩვენი პარტიის მწუხარე ისტორია ამ წელიწადნახევრის მანძილზე, მწუხარე იმიტომ, რომ მწუხარეა ეს წლები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის საერთოდ და საქართველოსთვის საერთოდ. ანალიზი და შეფასებები დაზუსტდება კამათის პროცესში. ახლა ნება მომეცით შემოგთავაზოთ ტექსტი პლატფორმის პროექტისა. შეგვიძლია განვიხილოთ დღეს მოკლე ტექსტი ჩვენი პლატფორმისა მომავალი წლისთვის ან ნახევარი წლისთვის, რომელიც გვაქვს და რომელშიც ცალსახადაა განსაზღვრული პარტიის ძირითადი მიზნები, ამოცანები და სამოქმედო პრინციპები, რომელთა სამსახურიც აუცილებელია და საკმარისია პარტიის ბრძოლაში მონაწილეობისათვის.

მაგრამ მე მიმაჩნია, რომ სანამ ამას ერთობლივად მიღებული დოკუმენტის სახეს მივცემდეთ, ჯობია შევავსოთ იგი წეღან მოხსენებული საბჭოს მუშაობის შედეგად და შევთავაზოთ ჯერ მომავალ კონფერენციას, ხოლო შემდეგ ყრილობას, რომელიც უახლოეს ხანში უნდა ჩავატაროთ ჩვენი პარტიისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში, სახელდობრ, პარტიის რაოდენობრივი შევსების და თანამოაზრე პარტიებთან უკვე აწყობილი თანამშრომლობის პირობებში.

**ნოდარ ნათაძე**

---

# ზევერზინი აფხაზეთს გაემგზავრა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხედრო თანამშრომლობის შტაბის უფროსის მოადგილე, სამიტის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის სპეციალური სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ვიქტორ ზევერზინი აფხაზეთში გაემგზავრა, სადაც შეხვდება სამშვიდობო ძალების სარდლობას და აფხაზთა ხელისუფლების წარმომადგენლებს. განიხილავენ სამშვიდობო პროცესის შემდგომი განვითარების სამოქმედო რეალიზაციის საკითხს.

# როგორც შენ იტყვი, ბაგაბშ!

„ახლა, როცა რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე არსებული რეჟიმი უნდა შერბილდეს" – განაცხადა აფხაზ სეპარატისტთა პრემიერმა სერგეი ბაგაბშმა. მისი მტკიცებით, თუ 1994 წლის დეკემბერში აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის შემოღება ჩეჩნეთის საომარი მოქმედებებით აიხსნებოდა, ახლა რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ბლოკადა უნდა მოიხსნას.

# „გავაგრძელებ სამხედრო ობიექტების აფეთქებებს"

„მე გავაგრძელებ რუსეთის სამხედრო ობიექტების აფეთქებებს, თუმცა ადრინდებულად აღარ ვიკისრებ მათზე პასუხისმგებლობას" – განაცხადა ე.წ. „გენერალ დუდაევის არმიის" მეთაურმა სალმან რადუევმა. მანვე დასძინა, რომ პატივს სცემს ჩეჩნეთის ხელისუფლებას და აპირებს მასთან მჭიდრო თანამშრომლობას, თუმცა, ჩეჩნეთი პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მხოლოდ შეიარაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად მოიპოვებს. მისივე განცხადებით, მოძრაობა „ჯოხარის გზის" სამხედრო ფრთის წარმომადგენელია, რომლის ფილიალებიც უახლოეს მომავალში აზერბაიჯანში, ყაბარდო-ბალყარეთში, ოსეთში, ინგუშეთშიც გაიხსნება. იგი იმედოვნებს, რომ მოძრაობის, როგორც „კავკასიის განმათავისუფლებელ არმიად" ჩამოყალიბების შემდეგ, რუსეთს მოუწევს რეგიონიდან წასვლა. ამის შემდგომ შეიქმნება კავკასიის ისლამური კონფედერაცია. სალმან რადუევმა განაცხადა, რომ დაეხმარება ქართველებს „შევარდნაძის ფაშისტური რეჟიმის დამხობაში და საქართველოში შექმნის „ჯოხარის გზის" ქართულ კორპუსს – ამის თაობაზე მე არაერთხელ მთხოვეს ქართველებმა" – დასძინა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● შემეცნებით-საგანმანათლებლო გვერდი

# შეიძლებოდა თუ არა გიორგი პირველი ყოფილიყო ტირანი?

*მხატვრული სიტყვის ძალას, არცთუ იშვიათად, შესწევს უნარი დაჩრდილოს მშრალი ისტორია. დიდი მწერლის გამონაგონი უკეთ გადმოგვცემს ხოლმე გარდასულ ეპოქათა პულსს. ცხადია, რამდენადაც მნიშვნელოვანია მხატვრული ნაწარმოები, იმდენად უფრო ღრმად არის განჭვრეტილი სამყაროს საიდუმლოება. ისტორიულ სიუჟეტზე შექმნილი ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების გარკვევისას ურიგო არ იქნებოდა, თუ გავიხსენებდით ონორე დე ბალზაკის ცნობილ სიტყვებს: „კარგად დაწერილი ისტორიული რომანები, ისტორიის საუკეთესო კურსებს ემსგავსება“-ო.*

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ასეთ პირობებშიც საქმე გვაქვს სინამდვილის შემეცნების ორ პრინციპულად განსხვავებულ ფორმასთან. რადგან ერთ შემთხვევაში აუცილებელია ფაქტების ზუსტი და ამასთანავე მეცნიერული ასახვა, ხოლო მეორე შემთხვევა გულისხმობს ისტორიულთან ერთად მხატვრული სახეებით მეტყველებას, რომელსაც მეცნიერული სიზუსტის პრეტენზია არა აქვს. მწერალი, პოეტი, პროფესიონალი ისტორიკოსისაგან განსხვავებით თავისუფლად ეკიდება ფაქტებს. ის სრულ თავისუფლებას აძლევს საკუთარ ფანტაზიას. ამ მხრივ საგულისხმო მაგალითია განრისხებული ფლობერის უხეში ფრაზა, წარმოთქმული „სალამბოს“ გამოქვეყნების შემდეგ, მის წინააღმდეგ ამხედრებული ისტორიკოსებისა და არქეოლოგების მისამართით: ვაფურთხებო თქვენს არქეოლოგიას.

ასევე მრავალმხრივ ნიშანდობლივია ფრანგი მწერლის ალ.დიუმას ნათქვამიც: ჩემთვის ისტორია ის ლურსმანია, რომელზედაც „საკუთარ სურათებს“ ვკიდებო. სწორედ ამიტომ ისტორიულ თემებზე დაწერილ მრავალრიცხოვან რომანებში, არცთუ იშვიათად, ავტორები თვითნებურად უდგებიან ისტორიის ცალკეულ პერიოდებსა და ფაქტებს, რომელთაც უაღრესი მიკერძოებით ალაგებენ და აანალიზებენ.

როგორც დამაჯერებლად უჩვენა ცნობილმა ისტორიკოსმა მ.ბარგმა, მნიშვნელოვნად აჭარბებდნენ, აზვიადებდნენ რიჩარდ III-ის დესპოტიზმსა და მანკიერ მხარეებს, მათ შორის მის ფიზიკურ ნაკლოვანებებს ტომას მორი და უილიამ შექსპირი.

ასეთი მაგალითების მოყვანა ქართულ ლიტერატურაშიც მრავლად შეიძლება.

ამრიგად, ისტორიული ჟანრის ნაწარმოებში, იქნება ეს რომანი, პოემა თუ დრამა, არცთუ იშვიათია გადაჭარბების, გაზვიადების სინამდვილის გაყალბების ელემენტები, რაც ხშირად გათვითცნობიერებულ მკითხველთა შორის დაეჭვებასა და უნდობლობას იწვევს.

პროფესიონალი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მწერლის, პოეტის თვითნებურ დამოკიდებულებას ისტორიული ფაქტისადმი, რომანისტი ალ.დიუმა მხოლოდ ასე ამართლებდა: „ისტორიაზე ძალადობა ნებადართულია, თუ მას ახლშობილი მოჰყვება“-ო.

ისტორიული ფაქტიდან გადახვევის მაგალითზე მეტად საგულისხმოა ილია ჭავჭავაძის შენიშვნა, რომელიც მან „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ მსჯელობისას გამოთქვა: მხატვრული ლიტერატურის დანიშნულებაა მოგონილის ამბით მართლის ცხადყოფაო.

გოეთე „ფაუსტის“ ერთ-ერთი პერსონაჟის - ვაგნერის პირით ამბობდა: „ოჰ, რა ძნელია გამონახვა ნამდვილი გზების, რომ მიაღწიო შენ ამქვეყნად სიბრძნისა წყაროს“.

სწორედ ამ ძიებამ ჩაუყარა საფუძველი ისტორიას, როგორც მეცნიერებას, ხოლო ისტორიულ თემებზე მომუშავე ლიტერატორთ - მიმზიდველი მისია დააკისრა თვით დამამტკიცებელ საბუთთა ნაკლებობაშიც, გააცოცხლონ ისტორია შევსებულ-გამდიდრებული სახით.

რასაკვირველია, ყოველივე ზემოთქმული იმას როდი ნიშნავს, თითქოს სიტყვაკაზმული მწერლობა უარყოფდეს ყოველგვარ „საბუთიანობას“. ისტორია და მისი სპეციფიკურობა ხომ ლიტერატორთ ყოველთვის არ აძლევს მოსვენების საშუალებას. საილუსტრაციოდ მოგვყავს დიდი ქართველი ხელოვანის კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

ნაწარმოები ექსპრესიული სურათით იწყება. ეს არის ერთგვარი რომანტიკული გაჭრა ისტორიისაკენ, რათა ავტორმა დღევანდელობაში შემოიყვანოს წარსულის გმირული და ტრაგიკული სული.

მაგრამ, ჯერ უმჯობესია კითხვით დაგვეწყო - ვინ არის რომანის მთავარი გმირი? რა თქმა უნდა, მეფე გიორგი. როგორც ეს უკვე არაერთგზის აღნიშნულა როგორც წიგნის, ისე ამ ნაწარმოების მიხედვით შექმნილ ფილმშიც, მთავარი მოქმედი გმირი „სწორედ გიორგი მეფეა და არა არსაკიძე, გიორგი მეფე გაცილებით მეტი სისრულითა და სიყვარულითაა მოცემული“ (გ.დოლიძე, ქართული კინო გუშინ და დღეს, კინემატოგრაფიული ძიებანი, თბ., ხელოვნება, 1985, გვ. 151).

ამ საკითხის ირგვლივ მსჯელობა, შეიძლება ითქვას, კვლავაც გრძელდება. წერილში - „მაინც მეფე გიორგი“, ირმა ჩხეიძე შენიშნავს: „მაინც გიორგი მეფე ჩრდილავს რომანის ყველა დანარჩენ გმირს. ზოგჯერ ხდება ასე ლიტერატურაში - იდუმალი ჩანაფიქრი და ზრახვა მწერლისა სააშკარაოზე გამოდის უნებლიედ“.

თ. ნატროშვილის აზრით, „უფრო მართებული იქნებოდა ამგვარი დასკვნა: კონსტანტინე გამსახურდიას რომანს ორი მთავარი გმირი ჰყავს, დიდი მოწოდებისათვის თავდადებული ორი პიროვნება, ბედისწერამ ერთიმეორეს რომ დაუპირისპირა, ხუროთმოძღვარი არსაკიძე - შემოქმედი სვეტიცხოვლის ტაძრისა და მეფე გიორგი - შემოქმედი „ქართლის ბედისა“ (ლიტერატურული საქართველო, 5 თებერვალი, 1988).

როგორც ცნობილია, თვით კ. გამსახურდია წინააღმდეგი იყო ასეთი შეფასებისა. ჯერ კიდევ იმთავითვე აზრთა სხვაობათა აღძვრამ ათქმევინა მწერალს ეს სიტყვები:

„ზოგიერთ კრიტიკოსს აგრე მოეჩვენა, თითქოს მთავარი გმირი ამ რომანისა გიორგი პირველი იყოს და არა კონსტანტინე არსაკიძე. ამ შემთხვევაში სათაურს უნდა დაუკვირდეს მკითხველი. მოვლენათა ფოკუსში მოქცეულია მკლავის წაკვეთის ამბავი, ე. ი. განწირული ბედი დიდი ხელოვანისა ტირანულ სახელმწიფოში“ (კ. გამსახურდია, რჩ. თხზ. ტ. II, თბ., საბჭოთა საქართველო, 1959, გვ. 814).

თუმცა, ამავე დროს ცნობილია მწერლის დამოკიდებულება გიორგი მეფისადმიც. „ამ უბადლო ვაჟკაცს, რომელსაც მატიანე უწოდებს „უშიშოს, ვითარცა უხორცოს“, ქართულ ქრონიკებში მხოლოდ ორიოდე გვერდი აქვს მიძღვნილი.

მე შემძრა ამ უსამართლობამ და ამ მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ეუძღვენი დიდი მდუღარება ჩემი სულისა“. (იქვე, გვ. 813).

ასე თუ ისე, ცხადია, რომ მწერლის სურვილია რომანის ძირითადი თემა იყოს ხელოვანის ბედი სოციალური ძალმომრეობისა და ტირანიის პირობებში.

შემოქმედის ტანჯვა რომანში უმაღლეს კაცობრიულ ტრაგიზმამდეა აყვანილი, რაც შეიძლება ყველა დროისა და ეპოქის შემოქმედებითი სულისა და ტირანიის შეუთავსებლობასა და შეურიგებლობას შეესაბამოს. ამ დიდი მხატვრული განზოგადების წინაშე, რასაკვირველია, აზრის უსუსურობა და ხელოვნების არსის შეუგნებლობა იქნებოდა საკითხის დასმა: შეესაბამება თუ არა კონსტანტინე გამსახურდიას რომანში დახატული დიდოსტატ არსაკიძის ხვედრი ისტორიულ სინამდვილეს, თუ ეს მწერლის გამონაგონია. ეჭვი არ არის, რომ „დიდოსტატის“ ბედი მხოლოდ შორეულ წარსულს როდი განეკუთვნება. ის ყოველთვის იყო და იქნება დამოკიდებული ქვეყნის კულტურულ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე.

ასეთ ვითარებაში,ბუნებრივი იქნებოდა კითხვის სხვაგვარად დასმა; რატომ ვერ იქცა საზოგადოების ყურადღების უმთავრეს საგნად შეურაცხყოფილი ხელოვანის ტანჯვა? უფრო გარკვევით, შეიძლებოდა თუ არა გიორგი I ყოფილიყო ტირანი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცოტა შორიდან დავიწყებდით, რომ უფრო უკეთ დაგვენახა მოვლენათა ფოკუსში მოქცეულთა ხვედრი.

„დიდოსტატის მარჯვენა“ უთუოდ მოითხოვს უფრო ვრცელ ისტორიულ კომენტარს. როგორც ცნობილია, ბატონი კონსტანტინეს დიდი ხნის ოცნება იყო ქართული ქრონიკების კრებულისათვის გვერდში ამოეყენებინა რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებდა.

კ. გამსახურდია, როგორც დიდი ხელოვანი, შთაგონებული იყო იმ აზრით, რომ წარსულის ასახვაში დიდი ზომიერება უნდა გამოეჩინა, რადგან იცოდა, რომ

„ყოველ ერს უთუოდ ფრიად ვნებს როგორც გულისყრა და ნიჰილიზმი წარსულის მიმართ, აგრეთვე მონსტრუალობის მანია“.

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია მომავალში იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შესძლო დიდმა ხელოვანმა ისტორიული მასალის მხატვრულად გადამუშავებისას მართლის ცხადყოფა... ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ერთი საკითხით შემოვიფარგლებით - „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენაში“ შეძლო მწერალმა XI საუკუნის საქართველოს ჩვენება ისტორიული რომანის ჟანრით, რომლის თავისებურებაც დიდ გასაქანს აძლევდა ავტორს, სრულყოფილად ესახა მე-11 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს შინაურ და გარეულ მტრებთან სასტიკი ბრძოლა. კ. გამსახურდიამ აქცენტი გადაიტანა გიორგი პირველისდროინდელ საქართველოს შინაურ ვითარებაზე. ეს მწერალმა შეგნებულად გააკეთა, რადგან, მისი აზრით, „შინაპოლიტიკური“ ვითარებანი წყვეტენ ყოველი ნაციის, ყოველი სახელმწიფოს ბედს“.

ბ-ნი კონსტანტინე, შესაძლოა, ითვალისწინებდა კიდეც ივანე ჯავახიშვილის დამაფიქრებელ დასკვნას: „ბიზანტიის კეისრების ახალი პოლიტიკაც ქართველთათვის სახიფათო იყო; მაგრამ მაინც საქართველოსათვის იმდენად გარეშე მტერი არ იყო საშიში, და არც ეს ყოფილა ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მის გაძლიერებას აფერხებდა. ქართველებს აუძლურებდა შინაური ბრძოლა მეფეთა და დიდგვარიან აზნაურთა შორის“.

ახლა ისიც ვიკითხოთ, რას წარმოადგენდა იმჟამინდელი მეფე და რა შეადგენდა მის უფლებებს? თუ თვალს გავადევნებთ საქართველოში ზოგადად მეფობისა და მისი უფლებების ისტორიას, მრავლისმთქმელ და ღრმააზროვან სურათს ვნახავთ. დავიწყოთ იმით, რომ თავის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველო სხვადასხვა პოლიტიკური მდგომარეობით და მართვა-გამგეობის წესით ცხოვრობდა.

ვიცით, მაგალითად, რომ VI ს. 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ეიდრე საქართველოში მეფობა აღსდგებოდა, ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლება აზნაურებს ეკუთვნოდათ.

ქართველი ერის განცალკევებული პატარა სამეფოების გაერთიანება ზოგჯერ ნებაყოფლობით იყო ხოლმე განხორციელებული, ზოგჯერ კი - ძალდატანებითაც. გამორკვეულია აგრეთვე, რომ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მეფის ხელისუფლების აღდგენა საქართველოში ხალხის და აზნაურთა სურვილისა და მოღვაწეობის წყალობით განხორციელებულა.

ეს გარემოება კი, რა თქმა უნდა, ბატონობას მიჩვეულ უმაღლეს წოდებას არაფრად ეჭაშნიკებოდა. ამის გამო, უეჭველია, გავლენიანი აზნაურობა არცთუ ძალიან მოწადინებული იქნებოდა, რომ საქართველოს ხელისუფალი მეტისმეტად გაძლიერებულიყო. საქმე სწორედ ასეც დატრიალდა. უკვე ტაო-კლარჯეთის პირველი ბაგრატუნიანი აშოტ დიდი კურაპალატი „იუდაის მსგავსად“ ე.ი. თავის ქვეშევრდომთა რომელიღაც ჯგუფისაგან მოკლული ყოფილა, ეკლესიაში „შელტოლვისდა მიუხედავად შიგ საკურთხეველშივე“.

მაგრამ გამოკვეთილი ბრძოლა X ს. დამლევიდან იწყება, საქართველოს გაერთიანებისთანავე, რომელიც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა.

ამ საყოველთაო არევ-დარევაში რომ სამეფო ხელისუფლება პროგრესული ელემენტი იყო, ეს სავსებით აშკარაა XI საუკუნის საქართველოში. ის იყო დამცველი წესრიგისა უწესრიგობაში, წარმომადგენელი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერისა, მეამბოხე ვასალურ სახელმწიფოებად დაქუცმაცებულობის საწინააღმდეგოდ. ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებასა და ეკონომიკურ აღმავლობას, წარმოადგენდა მრისხანე იარაღს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტისტური სამეფო ხელისუფლება ვაჭრობის, ხელოსნობის და აღებ-მიცემობის განვითარების გზით ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის რომ იბრძოდა, ამავე დროს ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ფეოდალურ საზოგადოებაში ახალი, ანტიფეოდალური, ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვა-წარმოქმნისთვის.

ერთიანი, ძლიერი ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში წარმოიშვა დიდგვარიან აზნაურთა შეხედულება, რომელიც თავისებურად განსაზღვრავდა მეფის ხელისუფლების წარმოშობასა და მის უფლებებს. ამ შეხედულებით აღიარებულია მეფის ხელისუფლების აუცილებლობა, მეფეებს ადგენენ ერისთავ-აზნაურები, მეფე აზნაურთა ხელისუფალია. ერისთავთ-აზნაურებს შეუძლიათ გადააყენონ არასასურველი მეფე, მეფე მათთან თანხმობით ქანაჟებს ხელყანს, მხოლოდ ამ [illegible] მეფე არის ღვთისაგან ნაკურთხი.

ამგვარად იქმნებოდა განსხვავებული ვითარება, როცა მეფის მომხრეთათვის უკვე აღარ კმაროდა მეფის ხელისუფლების ღვთისაგან მომდინარეობის აღიარება და ა.შ. საჭირო იყო უფრო მკაცრი არგუმენტი მეფის თვითმპყრობელური უფლებების დასასაბუთებლად, საჭირო იყო ერთმმართველი მეფის ავტორიტეტის ამაღლება.

როგორც ცნობილია, საქართველოს გაერთიანებას იდეური საფუძველი ქართულმა ეკლესიამ მოუმზადა, მაგრამ იმავე გაერთიანებისთვის ბრძოლაში თვით ეკლესიას ჰქონდა საკუთარი თვალსაზრისი ე.წ. ცეზარო-პაპიზმის იდეები. ამ კონცეფციის მიხედვით ქვეყნიერი მეფე და ყველა კაცი ეკლესიას უნდა დაემორჩილოს. ეკლესია თავის თავზე აღიარებს მხოლოდ ქრისტეს ხელმწიფობას.

თვით საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ეკლესია მთლიანი ფრონტით არ გამოსულა მეფის მხარეზე. მისი გარკვეული ნაწილი მეფის მოწინააღმდეგე აზნაურთა მხარეზე იბრძოდა. ასეთ სიტუაციაში თვით ეკლესიის დაქვემდებარებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების იმ საერთო ბრძოლის ნაწილს, რომელიც მიმართული იყო დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ.

ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლაში ქართველი მეფეების წარმატებებმა და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის სახელოვანმა გამარჯვებებმა საშუალება მისცა ცენტრალური ხელისუფლების მომხრე მოწინავე ძალებს შეემუშავებინათ საკუთარი იდეოლოგია, ე.წ. „ღმრთისმიერობის“ ანუ „ღმრთისწორობის“ თეორია, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მეფის, როგორც ბელადის, შეგნებულ იდეალიზაციას.

მაგრამ რაში მდგომარეობს მეფის უფლების ღმრთისმიერობის თეორიის არსი? რა მიზანს ემსახურებოდა მეფის პიროვნების შეგნებული იდეალიზაცია და ღმრთის სწორად მისი გამოცხადება? ან კიდევ, რატომ იყო ეს თეორია იმდროისათვის პროგრესული?

როგორც უკვე ითქვა, მეფის პიროვნების გაიდეალების და ღმრთის სწორად მისი გამოცხადების თეორია ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ მიმართული მძლავრი იდეოლოგიური იარაღი იყო, რომელიც მეფის მომხრე პროგრესულ-დემოკრატიული ბანაკის პოზიციებს ამაგრებდა, ხოლო დიდგვაროვანი არისტოკრატიის პოზიციებს ასუსტებდა. მართლაც, თუკი მეფე ღმრთისმიერი და ღმრთის სწორია, თავისთავად ცხადია, რომ მისი არც ტახტზე ასვლა და არც ტახტიდან ჩამოგდება ფეოდალთა ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული; მაშასადამე, რეაქციონერთა ბრძოლა მეფის წინააღმდეგ უნიადაგო და უპერსპექტივოა და მას აზრი ეკარგება. უფრო მეტიც, თუკი მეფე ღმრთისმიერი და ღმრთის სწორია, მეფის ნება-სურვილი იგივე ღმრთის ნება-სურვილი იქნება, ამიტომ ყველა მისი ქვეშევრდომი, და მათ შორის, დიდი ფეოდალებიც, მეფეს უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს და ყველა მის სურვილს ასრულებდეს. ნათქვამიდან ცხადია, რომ მეფის ხელისუფლების ღმრთისმიერობის თეორიის უშუალო მიზეზი რეაქციის დამარცხება და მეფის ხელისუფლების (ე.ი. სახელმწიფოს) გაძლიერებაა. მაგრამ ამასთან ერთად, ამ თეორიამ განვითარებასთან ერთად შესაბამის დროსა და პირობებში მიიღო უკიდურესი ხასიათი, ეს შემჩნეული აქვს ივ.ჯავახიშვილს: „რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“... (ივ.ჯავახიშვილი, ტ.VII. გვ. 98).

**გიორგი მჭედლიშვილი**

გაგრძელება იქნება

ეროვნული

# იუმორის გვერდი — წუთშესვენება

## ჩვენი სტუმარია შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი დავით კვირცხალია



> არც რა მიშველა ტირილმა,
> არცა ცრემლების დენამა,
> მიშველა ისევ სიცილმა,
> ლაქარდიანმა ენამა



### „ტოროლა ვარ ალიონზე..."

რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „საბრალდებო დასკვნა" ყოველთვის ჰყავდა მაყურებელი. ზესტაფონში ვართ გასტროლებზე. მე ვთამაშობ ზაზა ნაკაშიძეს (ახლა გავიზარდე, პატარა გაჭაღარავდი კიდეც და ამიტომ გოგოლის როლზე გადამიყვანეს). სპექტაკლების შემდეგ იმართებოდა ხოლმე ოფიციალური ბანკეტები. სცენაზე კარლო საკანდელიძე მოვიდა ჩემთან და მიჩურჩულა, იცოდე კარგ ადგილას წაგიყვან და მე არ მომცილდეო. კი, ბატონო კარლო–მეთქი.

ზესტაფონში ცხოვრობს შესანიშნავი ადამიანი, იქაური თეატრის რეჟისორი რენე აბესაძე, რომელმაც დაგვპატიჟა მე და კარლო ზესტაფონთან ახლოს თავის სოფელში. სპექტაკლი დამთავრდა ღამის თორმეტ საათზე, ჩავჯექით მანქანაში და წავედით. მივედით მშვენიერ ეზო–კარში, გაგვიცანით ოჯახის წევრები, მეზობლები და მასპინძელმა მიგვიწვია სუფრასთან. ბატონ კარლოს დიდი მოწიწებით ექცეოდნენ. ეს ის დროა, როცა ეკრანებზე ხშირად გადიოდა კინოფილმი „მაგდანას ლურჯა", პოპულარულია ბატონი კარლო და მისი სიმღერა „ტოროლა ვარ ალიონზე". ერთი სიტყვით ჩვენ დიდი პატივისცემითა და ყურადღებით გვეპყრობიან, ეს მშვენიერი სუფრა, მშვენიერი ხალხი, ბატონი კარლო თავის ამპლუაშია და მიდის ლხინი.

გავიდა ერთი საათი, მეორე და ბატონ კარლოს საათზე მივუთითე.გვიანია, ხომ არ წავიდეთ–მეთქი.

– ცოტა მაცალე, ცოტა! – მითხრა მან, მაგრამ ეს ცოტა კიდევ ორი საათი გაგრძელდა. ლხინი კვლავ გრძელდება, კარლოს სადღეგრძელოები არ ელევა, მე ისევ წასვლას ვეუბნები.

– მაცალე, ცოტაც მაცალე! – მეუბნება ისევ კარლო.

გავხედე ცას, თენდება. ახლა ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი და წავიდეთო, მეუბნება კარლო.

– ახლა მე მაცალე–მეთქი, ვთქვი თამამად და ერთი ჭიქა დავლიე.

ამას მეორე მივაყოლე, მესამე და ახლა კარლო მეხვეწება, ადექი, წავიდეთო. მე დინჯად ხელი ავწიე, ცოტა მაცალე–მეთქი.

– აჰა, ხომ გაცალე, რამდენი უნდა გაცადო კიდევო –მეკითხება კარლო.

ერთი წუთიც მაცალე–მეთქი, ავიხედე ცაზე, შუქმა მოიმატა, იწყებოდა ალიონი და ამ დროს სიმღერა წამოვიწყე „ტოროლა ვარ ალიონზე"...

– ოხ შე მაიმუნოო – მითხრა და კარლო ბოთლით გამომეკიდა, რენე დიდხანს გულიანად ხარხარებდა, ჩვენ კი სირბილ–სირბილით ჩავედით ზესტაფონში.

### ქურდი ყვავი

მსახიობებს გასტროლებზე ძალიან ცოტას გვიხდიდნენ. ამიტომ თან მიგვქონდა ხოლმე კონსერვები, ძეხვები, სხვადასხვა მშრალი საჭმელები. ზოგიერთ ქვეყანაში ამასაც არ გვატანდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც მიგვქონდა, მცირე ხელფასს, რომელსაც მაშინ გვაძლევდნენ, კვებისათვის ვერ ვიმეტებდით, რადგან ვცდილობდით რაიმე პატარა საჩუქარი ჩამოგვეტანა ოჯახის წევრისთვის ან ახლობლისთვის. ამიტომ თანხების სიმცირის გამო ვცდილობდით საჭმლის ეკონომია გაგვეკეთებინა და მოგროვილი კაპიკებით პატარ–პატარა საჩუქრები შეგვეძინა.

სასტუმროში ვართ მოსკოვში და შემორბის სოსო ლაღიძე ყვირილით – კაცო, ეს რა მომივიდა, რა ვნახეო. ყვავი შემოფრინდა ჩემს ოთახში, ეძგერა რაფაზე დადებულ ძეხვს, ტარას ბულბასავით ჩაიდო და უსინდისოდ გაფრინდაო.



მოსკოვში მაშინ უამრავი ყვავი დაფრინავდა (ახლა არ ვიცი, შეიძლება ისევ დაფრინავენ), ვერ გეტყვით, გაწვრთნილები იყვნენ თუ არა, მაგრამ ფანჯარა თუ დაგრჩებოდა ღია, უსათუოდ რაღაცას აგწაპნიდნენ.

სოსო დიდხანს ვერ დაწყნარდა, სულ იმას გაიძახოდა, რა ვნახე, რა ვნახეო. ჩვენც აღარ ვიცოდით რითი გვენუგეშებინა. როგორია, იმ შავმა ქურდბაცაცამ რამდენიმე დღის საჭმელი ააფცქვნა კაცს თვალსა და ხელს შუა.

დასამშვიდებლად ისღა მოვიფიქრეთ, რომ სოსო ჩვენს ძეხვზე დავპატიჟეთ.

### ცხვირი

ჩემი პირველი გასვლა საზღვარგარეთ იყო „რიჩარდ მესამე"–ში. წინა გასტროლებზე ვერ წავედი საბუთების უქონლობის გამო. ოთხმოცდაერთ წელს კი რუსთაველის თეატრს თვენახევრიანი გასტროლები ჰქონდა იტალიასა და შვეიცარიაში. საბუთები წესრიგში მოვიყვანე, ბატონმა რობერტმა სიაში ჩამსვა, რის გამოც მთელი ცხოვრება მადლიერი დავრჩები და გავემგზავრე იტალიაში.

დასი მოგვიანებით ჩავიდა, ბატონი რამაზ ჩხიკვაძე ადრე იყო წასული და რომ ჩავედი, სპექტაკლის მსვლელობისას ვნახე სცენაზე. ჩემი დანახვა აშკარად გაუხარდა, რადგან არ მელოდა და ახსოვდა, წინა გასტროლებზე რომ არ გამიშვეს. მან დაიწყო მონოლოგის კითხვა, მომიახლოვდა, წამავლო ცხვირზე ორი თითი და მთელი სცენა ასე ჩაათავა. თანაც, ხან გამიშვებდა ხელს, ხანაც ძლიერად მომიჭერდა. მე ვიდექი გაშეშებული და პირით სუნთქვაზე ვიყავი გადასული, ალბათ, სულ ცოტა ათი წუთი.

დამთავრდა სცენა, გავედით კულისებში, სადაც შემხვდა ჟანრი ლოლაშვილი და მეკითხება, რა გჭირს ცხვირზეო. ჩავიხედე სარკეში და რას ვხედავ, ცხვირი შავია ნახშირივით.

ბატონ რამაზის დიალოგისას ჩემმა ცხვირმა გაიარა სიწითლე–სილურჯის ეტაპები და საბოლოოდ ჩამინახშირდა. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, პირველი დღეა იტალიაში ვარ, ერთი სული მაქვს გარეთ გავიდე, დავათვალიერო საოცნებო ქალაქი და ამ დროს ცხვირზე საშინელი სისხლჩაქცევები მაქვს.

მივდივარ ბატონ რამაზთან. – რა მიქენით – მეთქი?

ის მართალია, შეწუხდა, მაგრამ დამაწყნარა, რა მოხდა მერე, შენც ახლა ვინმემ არ გიცნოსო.

– ვიცი, რომ არავინ მიცნობს, მაგრამ ასე როგორ გავიდე–მეთქი ქუჩაში!

ბატონი რამაზი მეორე დღეს ამოვიდა ჩემთან ნომერში. მე ვიჯექი სარკე-



სთან და ცხვირს გრიმით ვითეთრებდი, ქალაქში ვაპირებდი გასვლას.

– დათო, მაპატიე და სანამ შენს ცხვირს ნორმალური ფერი არ დაუბრუნდება, ყოველდღე ერთი კათხა ლუდით გაგიმასპინძლდებიო.

ჩემთან ერთად იყო ვანო გოგიტიძე. დათო მარტო ხომ არ ივლის უმეგობროდო – „ჩაარტყა" ვანომ.

– კარგი, შენც იყავიო, – დართო ნება ბატონმა რამაზმა.

ერთი თვის მანძილზე რამაზი უჩვენოდ სასტუმროდან არ გადიოდა და ყოველ დილით გვიმასპინძლდებოდა ლუდითა და თავისი დასაყოლებლით. ერთ მშვენიერ დღესაც ვზივართ მე და ვანო. რამაზი არ ჩანს, შევწუხდით, შევეჩვიეთ ამ ფუფუნებას და მივაკითხეთ ნომერში.

– რაშია საქმე, ბატონო რამაზ? – ვეკითხები მე.

– რა იყო? – შემომიბრუნა კითხვა.

–კი მაგრამ ლუდი არ უნდა დავლიოთ–მეთქი;

– რატომ კაცო?

– რატომ და დაგავიწყდათ ჩემი შავი ცხვირი? –დავიგრძელე კისერი დემონსტრირებისათვის და ხელით ცხვირზე მივუთითე.

– შენი ცხვირი შავი აღარ არის და მასეთი წითელი კი უნდა იყოსო. – მიპასუხა.

ჩავიხედე სარკეში, ცხვირი მართლა აღარ იყო შავი, სიწითლე ჰქონდა „შეპარული" და კარგ ლოთს ვგავდი.

ასე რომ, ბატონმა რამაზმა მოთმინებით უმკურნალა ჩემს ცხვირს და ერთ დღეს შემიწყვიტა მშვენიერი „ჰუმანიტარული" დახმარება.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა

მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების ცენტრში კვლავ ნატოს გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის მოსკოვში გამართული მოლაპარაკებაა. ეს იყო ამ დონეზე შეხვედრის მეექვსე რაუნდი, რომელიც შედეგიანი აღმოჩნდა. მხარეებმა შეათანხმეს რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის დოკუმენტის პროექტი, რომელსაც საბოლოოდ ხელი მოეწერება 27 მაისს პარიზში.

## არ ექნება ვეტოს უფლება

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა ისტორიული ნაბიჯი უწოდა მოსკოვში მიღებულ შეთანხმებას ნატოსა და რუსეთის ურთიერთობის შესახებ. დოკუმენტში პირველ ადგილზეა აღმოსავლეთში ნატოს გაფართოების საკითხი, რომლის მიხედვით ნატოს ახალ წევრ ქვეყნებში არ იქნება განლაგებული ბირთვული იარაღი. რუსეთი მონაწილეობას მიიღებს ნატოს სხდომის მუშაობაში ხმის უფლებით, მაგრამ არ ექნება ვეტოს უფლება.

## ლეიბორისტები რეფერენდუმის გამართვას აპირებენ

ბრიტანეთის ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ პარლამენტს ოფიციალურად წარუდგინა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური აღორძინების პროგრამა. პროგრამით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განათლების სისტემას და უმუშევრობას. ლეიბორისტები შოტლანდიასა და უელსში ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციის გაზრდის თაობაზე რეფერენდუმის გამართვას აპირებენ. მიმომხილველთა აზრით, ლეიბორისტთა პროგრამაში დასახული 26 კანონპროექტიდან ყველაზე ძნელი მისაღები იქნება კანონი, რომელიც კრძალავს ცეცხლსასროლი იარაღის ფლობას.

## ერაყი პროტესტს გამოთქვამს

თურქეთის არმიის 50 კაციანი სამხედრო დაჯგუფება არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით უკვე მერამდენეჯერ შეიჭრა ერაყის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, რომელსაც ქურთები აკონტროლებენ. სამხედროთა მიზანს ქურთების მუშათა პარტიის ბანაკების განადგურება წარმოადგენს. ეს პარტია თურქეთის ტერიტორიაზე ქურთული ავტონომიის შექმნისათვის იბრძვის. რაც შეეხება ერაყს, მან მხოლოდ პროტესტი გამოთქვა.

## კანონმა სიტუაცია დაძაბა

ალბანეთი, სადაც ივნისში საყოველთაო არჩევნები უნდა გაიმართოს, მცირე ხნის წინ სამოქალაქო ომის რეალური საფრთხის წინაშე იდგა და დღესაც საერთაშორისო სამშვიდობო კონტიგენტი იცავს მშვიდობას. ეუთოს შუამავლობით მიმდინარეობდა საარჩევნო კანონის მომზადება, მაგრამ მმართველმა დემოკრატიულმა პარტიამ ისარგებლა პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით და ოპოზიციასთან შეუთანხმებლად მიიღო ახალი კანონი, რამაც სიტუაცია ქვეყანაში კვლავ დაძაბა. ახალ საარჩევნო კანონს არ ემხრობა დროებითი მთავრობის პრემიერი ბაშკიმ ფინოც. თეთრმა სახლმა ეს ნაბიჯი გააკრიტიკა ისევე, როგორც ეუთომ, რომლის წარმომადგენელი ვრანიცკი უახლოეს მომავალში დაბრუნდება ალბანეთში და შეეცდება სიტუაციის განმუხტვას.

## ერთ ბედს ქვეშა ვართ...

ვლადივოსტოკში გრძელდება საპროტესტო აქცია. მოსახლეობამ, რომელსაც დღის განმავლობაში 18 საათი არ მიეწოდება ელექტროენერგია და სასმელი წყალი, გადაკეტა ქალაქის ქუჩები. ენერგოკრიზისი გამოიწვია მეშახტეთა გაფიცვამ, რომლებიც ხელფასების დავალიანების გამო უარს აცხადებენ მიაწოდონ ქვანახშირი თბოელექტროსადგურს.

# დეპუტატი სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს

## იგი, რა თქმა უნდა, მართალია

*ამ განცხადების ავტორი არის ახალციხის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა ნათენაძე, რომელიც მოსახლეობამ აირჩია პარტიული სიების გარეშე. ხალხის რჩეული სრულებითაც არ უხუჭავს თვალს იმ პრობლემათა სიმწვავეს, რომლებიც სამცხე-ჯავახეთში დღეს არსებობს, მაგრამ მოგვიწოდებს სწორი პროპორცია დავიცვათ ჩვენს მოქმედებაში და ამ სიმწვავის გამო არ დავტოვოთ უყურადღებოდ სხვა პრობლემები, რომლებიც უფრო აქტუალურია დღეს. სიფხიზლე პანიკის გარეშე! – აი, როგორ შეიძლება დავახასიათოთ ავტორის პოზიცია.*

ამ ბოლო ხანს, უშუალოდ ე.წ. „დსთ"-ს სამიტის შეკრების და საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთის საკითხის განხილვის წინ, რუსეთის გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტაში" ზატულინისა და მიგრანიანის ცნობილი და აღმაშფოთებელი სტატიის გამოქვეყნება, რომელშიც პირდაპირ იყო მინიშნებული მუქარა რუსეთისაგან, სომხეთის გამოყენებით, ჯავახეთიდან საქართველოს მიმართ და რომელიც ახალი და მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, – მაშინვე მოჰყვა, რა თქმა უნდა, ჯავახეთის საკითხის მკვეთრი წამოწევა საქართველოში და მისი ერთგვარი დაპირისპირება აფხაზეთის საკითხთან, რამაც, ჩემი აზრით, შეასრულა კიდეც თავისი მისია. კერძოდ ამ დიდი აჟიოტაჟით მოხდა გარკვეული ზეწოლა აფხაზეთის საკითხის, რუსეთის ჯარების საკითხის, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხის, რომლებიც ასევე ყოველთვის იყო და იქნება პლაცდარმი ინსპირირებული კონფლიქტებისა და იარაღი მოვლენათა რუსეთისათვის სასურველი ხაზით მართვისა და სხვა მრავალწერტილიანი და კითხვისნიშნიანი საკითხების განხილვაზე. ე.ი. სწორედ იმ „გარკვეულმა გაურკვეველმა ძალებმა", რომელზეც იმ დღეებში ბევრს ვსაუბრობდით და ალბათ მომავალშიც ბევრს ვისაუბრებთ, შედეგს მიაღწიეს, ხოლო აფხაზეთის და ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხების გადაჭრა, ისევ გაურკვეველი ვადით და გაურკვეველი გზით, – გადაიდო!

ჯავახეთში კი ასე თუ ისე, მეტნაკლებად ჩახედულმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ განსაკუთრებული (მე მხედველობაში მაქვს, ჯავახეთისათვის „ჩვეული" მოვლენებისაგან განსხვავებული, ანუ ისეთი, როგორიც ადრე არ მომხდარა და არ ხდებოდა) ახალი და უჩვეულო აქ არაფერი დაწყებულა, ძველი მწვავე პრობლემები მეტად და არც გამწვავებულა. იმის მსგავსი „გამოკითხვები და „რეფერენდუმები", რაზეც ახლა ლაპარაკია, ერთხელ უკვე ჩატარდა და ალბათ დაინტერესებულები კვლავაც „ჩაატარებენ" მათ (ესეც, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში). სულ სხვა საკითხია რუსეთის სამხედრო ბაზის არსებობა ახალქალაქში, სხვაგან და ა.შ. ერთი სიტყვით, „საქმე" გაკეთდა, ჩვენ ყველანი ანკესს წამოვეგეთ. მერე საკითხი თითქოს „მოგვარდა" (ესეც ბრჭყალებში) და ჯავახეთით და აფხაზეთით ყველამ კუთვნილი ქულები გაინაწილა.

პრობლემა კი პრობლემად დარჩა! ოდესღაც გაჩენილი ტენდენცია და ოდესღაც დაწყებული პროცესი ჯავახეთში კვლავ უპასუხოდაა დარჩენილი და საკითხები კვლავ გადაუწყვეტელი რჩება. მთავარი სხვაა, აქ არავინაა დამნაშავე ჩვენს გარდა. მთავარია წლების მანძილზე სახელმწიფოს მიერ ან არასწორად წარმოებული პოლიტიკა, ან საერთოდ პოლიტიკის უქონლობა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში წაგებული ბრძოლის შემდეგ, ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ კონცეფციების, პროგრამების და ა.შ. შემუშავებას. როდის ვიფიქრებთ ჯავახეთზე და მთლიანად საქართველოზე რეალურად, მის მთლიანობაში? დღესავით ნათელია, რომ ისევე როგორც საქართველოს ყველა მტკივნეულ წერტილში, ჯავახეთშიც პროცესებს მართავს ისევ რუსეთი და ჩვენც და სომხებსაც, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა წინ აღვუდგეთ მას და სწორედ რუსეთის გეგმით, როდესაც მას დასჭირდება, ერთმანეთს არ გადაეეკიდოთ ორი უძველესი, მეგობარი ერი.

ალბათ ბევრი თქვენგანი ყურადღებით გაეცნო გაზეთ „7 დღის" 15 აპრილის ნომერში მეტად საინტერესო და საყურადღებო ანალიტიკურ წერილს ჯავახეთის შესახებ. ასეთი წერილები არ უნდა დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

დღეს თუ ხვალ ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხებზე კანონების მიღება მოგვიწევს, რაც ასე აშკარად, ხელოვნურად იწელება და ფერხდება.

ჩვენ გვინდა ევროპული, დასავლური მოდელი ეკონომიკაზე, ფულად-საკრედიტო სისტემაში, რომლის საფუძველი სწორედ დემოკრატიული მმართველობაა და რომელსაც ასევე ვეწინააღმდეგებით და უარვყოფთ თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით. ჩვენს თავს თუ ვიტყუებთ, თორემ სხვას ვერ მოვატყუებთ. ადგილობრივი დემოკრატიული, თვითმმართველობის რეალური და არა ფიქტიური არჩევნები საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობით არსებულ ტერიტორიულ ერთეულებში არა მარტო ბევრ ანტისახელმწიფოებრივ მოთხოვნებს და მოძრაობებს გამოაცლის საფუძველს და აშკარად გააშიშვლებს მათ, არამედ მძლავრი ბერკეტი გახდება ეკონომიკის აღმავლობისა, სოციალური პრობლემების მოგვარებისა და ნამდვილი, რეალური ბიუჯეტის ფორმირებისათვის.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტის განხილვისას, კულუარებში, აშკარად გამოითქვა შიში, რომ ეს გამოიწვევდა ქვეყნის დაქუცმაცებას, მართვის სადავეების დაკარგვას და ა.შ. მე კი პირიქით მგონია, სეპარატიზმის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რეგიონალური, სამხარეო მოწყობის იდეაა და მისი უარყოფა სწორედ უამრავ მიზეზს მოსპობს. ბატონ ვანო ხუხუნაიშვილის ღია წერილში საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, უამრავი აშკარა და დამაჯერებელი არგუმენტია მოყვანილი და აქედან ერთ-ერთი მთავარია: ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში რეალურ აქტიურ ჩართვას გამოიწვევს. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაზე გამუდმებული ზრუნვა მოუწევთ მათ, ვინც დღეს ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსრენტებით ცხოვრობს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ამ ბოლო დროს მოქალაქეთა კავშირის ჩემთვის უცნობი სათათბიროს მიერ მზადდება და ვრცელდება დოკუმენტები ჯავახეთის შესახებ, რომელიღაც მათგანში მე დასახელებული ვარ, როგორც პიროვნება, რომელიც დაამოწმებს ჩემთვის აბსოლუტურად უცნობ ფაქტებს. მე მინდა განვაცხადო, რომ ვერავის, როგორი კომპეტენტური პირებიც არ უნდა იყვნენ ისინი, მომზადებულ, მოძიებულ და შექმნილ მასალებს, რომელთანაც მე არანაირი შეხება არ მაქვს, ვერ დავადასტურებ და არც რაიმეს დამადასტურებელი გახლავართ. მე რისი თქმაც მსურს, ხელს არავინ მიშლის და ვერც შემიშლის, ასე რომ, დოკუმენტებზე და საკუთარ აზრებზე, თუნდაც ფაქტებზე, თვითონ დოკუმენტების შემქმნელმა პიროვნებებმა აიღონ პასუხისმგებლობა. მე ვთხოვ მათ გაითვალისწინონ, რომ მარიონეტად ვერავის გამოვადგები, საკუთარ ქმედებებზე კი ნამდვილად ავიღებ პასუხისმგებლობას, ხოლო დოკუმენტები კი მე მგონი არა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინტერესებს ემსახურება, არამედ სწორედ თანამდებობების და გავლენის ხელში ჩაგდებას.

და ბოლოს, მე მინდა გაგაცნოთ ახალციხის რაიონში მოქმედი შარლ აზნავურის (რომელიც წარმოშობით სხვათა შორის ახალციხელია) სახელობის ნამდვილად კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომელიც, ჩემი აზრით, მეტად საინტერესოა თავისი შინაარსით და ზოგიერთი შეფასებებით და ასევე მათგან დავალებული მაქვს მოგაწოდოთ მისი შინაარსი:

ახალციხის შ. აზნავურის სახელობის სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის

განცხადება

ამ ბოლო ხანებში გახშირდა რუსეთის, საქართველოსა და სასომხეთის ზოგიერთი მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა მიერ, სამცე-ჯავახეთის მხარეში ვითომდა რთული ფეთქებადსაშიში მდგომარეობის შესახებ ჭორების მუსირება.

საქმე ვითომდა ეხება ბუნტს, რომელიც მზადდება. მხარის მოსახლეობის აჯანყების სახით ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

ჩვენი საზოგადოება გამოხატავს თავის გაოგნებასა და შეშფოთებას ამგვარი სახის ინსინუაციებთან დაკავშირებით. ჩვენ ვთვლით, რომ მრავალსაუკუნოვანი ძმური დამოკიდებულება ორ მოძმე ხალხს – ქართველებსა და სომხებს შორის, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობენ სამცხე-ჯავახეთის მხარეში, შეუძლებელია დარღვეული იქნას ექსტრემისტულად განწყობილ გარკვეულ პირთა ან მათ შემკვეთთა მიერ.

ჩვენ, ორმა ქრისტიანულმა ერმა, გადავიტანეთ სასომხეთისა და საქართველოს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების კრიტიკული დღეები, თვეები და წლები, ავიტანეთ აუარება გაჭირვება და უბედურება და დღეს, როდესაც იმედის მარცვლებმა დაიწყეს გარკვეული შედეგის მოცემა, ჩვენ არა გვაქვს უფლება კიდევ ერთხელ დავაყენოთ ჩვენი თავი ავანტურისტული გამოცდის წინაშე.

ჩვენ ვუსურვებთ მშვიდობას, ნათელს და კეთილდღეობას კავკასიის რეგიონში მცხოვრებ ყველა ხალხს.

მოვუწოდებთ კეთილი ნების ყველა ადამიანს, და განსაკუთრებით მათ, ვისზედაც დამოკიდებულია ჩვენი შვილების ხვალინდელი კეთილდღეობა, გამოიჩინონ მოთმინება, მეგობრული ურთიერთგაგება და ტოლერანტობა ერთმანეთთან დამოკიდებულებაში.

ჩვენ გვწამს, რომ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ვიქნებით ჩვენი ბრძენი წინაპრების საქმის პატიოსანი მიმდევრები.

*მიღებულია ახალციხის შ.აზნავურის სახელობის კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის სხდომის მიერ.*

12 აპრილი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა, როდის და რომელ არხზე

## შაბათი, 17 მაისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე“; 12.00 „მოამბე“; 12.15 XXI- ე; 12.35 მხატვრული ფილმი; 15.00 მესაკუთრე; 16.25 კონცერტი; 17.00 საესტრადო კონცერტი; 18.00 „მოამბე“; 18.10 მრავალსახეობა; 18.50 ოლიმპიური პროგრამა; 19.00 მეტრონომი; 19.30 კონსტიტუცია; 20.00 „მოამბე“; 20.35 რეკლამა; 20.40 აუდიენცია; 20.50 „ბასტი-ბუბუ“; 21.00 სტუდია „მაესტრო“; 22.30 „ილუზიონი“ მხატვრული ფილმი „კეიმადა“; 00.00 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“; 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო“, „დაბრუნება ედენში“. სპორტული გადაცემა „5X5 “, „ეკონომიქსი“, „ოლიმპო“, „პერსონა X “. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“; 22.20 მხატვრული ფილმი „საწყალი პატარა მდიდარი ქალი“ (I ნაწ.) პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**ОРТ** 09.00 Х/Ф “Конец Императора Тайги “ 10.30, 16.20 Мультфильмы 10.40 Лотто-миллион 10.45 Домашняя библиотека 11.00. 16.00, 19.00 Новости 11.10 “Слово пастырья “ 11.30 “С утра по раньше “ 12.05 “Утренняя почта “ 12.40 СМАК 13.00 “Возвращение Третьяковки “ 13.25 Х/Ф “Робинзониада, или мой английский дедушка “ 14.45 “Поехали! “ 15.25 Очевидное - невероятное “ 17.10 Америка с М.Таратутой 17.35 В мире животных 18.15 Колесо истории 19.20 Разговор с Владимиром Познером 20.30 Х/Ф “Соломенная шляпка “ 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время 22.55 Х/Ф “Апокалипсис сегодня “ 01.40 Фильмы: “Неправильные штани “, “Стрижка под ноль “, “Пошехонская луна“.

**РТР** 09.00 Утренный экспресс 09.55 Товары почтой 10.05 “Меморина“ 10.30 “Адреналин“ 10.45 “Доброе утро страна!“ 11.30 “Пилигрим“ 12.00 “Вести в одиннадцать" 12.15 “Как много девушек хороших“ 12.55 “Романсиада - 97“ 13.05 Лучшие игры НБА 14.00 “Новое пятое колесо“ 14.30 “Поэт в России - больше чем поэт“ 15.00 “Вести про...“ 15.25 Х/Ф “Суббота, воскресенье, понедельник“. 16.15 “Караоке по-русски“ 16.45 “Двойной портрет“ 17.15 “Бесконечное путешествие“ 17.55 Поет Иосиф Кобзон 17.55 Футбол “Динамо“ (Москва) - “Алания“ (Владикавказ) 19.55 “Субботный вечер с Ларисой Долиной“ 21.00 “Вести“ 21.35 “Сам себе режисер“ 22.10 Совершенно секретно 23.10 Репортер 23.25 Открытые новосты 00.20 Х/Ф “В поисках Сьюзен“ 02.15 Программа “А“

## კვირა, 18 მაისი

**1** 9.00 „9-დან 12-მდე“; 12.00 „მოამბე“, „სპა“, „რეიტინგი“, სპორტული პროგრამა; 13.30 კონცერტი; 15.00 მხატვრული ფილმი „მფრინავი სახლი“; 17.30 ტელე-სინე-ვიდეო; 18.00 „მოამბე“; 18.10 მოზაიკა; 18.50 აფხაზეთის ტელევიზია; 19.30 „საგანძური“; 19.35 ინტელექტუალური კლუბი; 20.30 „ენერგია“, „როდის“; 21.00 „მსგეფსი“; 21.50 აუდიენცია; 22.00 სპორტლოტო, სატელევიზიო კინოდარბაზი მხატვრული ფილმი „ვან გოგის ყური“; 23.50 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ტაიმ-აუტი“; 19.30 მულტფილმები, „დაბრუნება ედენში“. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვამცნობენ“; 21.55 „ტაიმ-აუტი“; 22.15 რეკლამა; 22.30 მხატვრული ფილმი „საწყალი პატარა მდიდარი ქალი“ (II ნაწ.) პროგრამის დასასრულს - კონცერტი.

**ОРТ** 09.00 Х/Ф “Пропало лето“ 10.15 Мультфильм 10.55 Спортлото 11.00, 16.00, 00.10 Новости 11.10 “Непутевые заметки“ 11.30 Пока все дома 12.10 Утреняя звезда 13.00 “Служу России“ 13.30 “Играй, гармонь любимая“ 14.00 “Сельский час“ 14.25 “Подводная одисея команды Кусто“ 15.25 “Смехопанорама“ 16.20 “Приглашениа к музыке“ 16.45 “Клуб путешественников“ 17.35 Мультфейерверк 18.05 “Один на один“ 18.35 “Счастливый случай“ 19.30 “Футбольное обозрение“ 20.00 Концерт Аркадия Укупника 20.45 Х/Ф “Соломенная шляпка“ 22.00 Время 22.40 Х/Ф “Утомленные солнцем“.

**РТР** 09.00 Утренний экспресс 19.55 “Ле Монти“ 10.10 Сериал “Солти “ 10.35 “У всех на устах“ 10.50 “Доброе утро, страна!“ 11.30 “Присяга“ 12.00 “Вести в одиннадцать“ 12.15 Русское лото 12.55 Без пяти 12 13.00 “Княжная лавка“ 13.25 Человек на земле 13.55 “Сад культуры“ 14.20 Мультфильм 14.25 “21 кабинет“ 15.00 “Вести“ 15.25 Х/Ф “Суббота, воскресенье, понедельник 16.20 Волшебный мир Диснея 17.20 “Репортаж ни о чем“ 17.30 “Довгань шоу“ 18.00 Весь мир 18.40 Горячая тема 19.05 Один против всех 19.25 “L-клуб“ 19.55 Ситуация 20.10 “Аншлаг“ представляет... 20.45 РТР в гостях у телезрителей 21.00 “Зеркало“ 22.00 Клуб знаменитых детективов 22.30 Футбол без границ 23.05 “Абзац-50“ 00.00 “У Ксюши“ 00.30 “Тихий дом“ 00.50 Х/Ф “Русская симфония“ 02.55 “Рек-тайм“ 03.10 “Гороскоп и видеомедитация“

## ორშაბათი, 19 მაისი

**1** 9.00 „ალიონი“; 18.00 „მოამბე“; 18.10 „ორშაბათი მძიმე დღეა“; 18.35 „ექიმის მოსვლამდე“; 18.50 „50/50“; 19.50 „რამპა“; 19.55 რეკლამა, ანონსი; 20.00 „მოამბე“; 20.35 რეკლამა; 20.40 აუდიენცია; 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“; 21.05 „დღე“; 21.20 „კასანდა“; 22.05 „ვესტნიკი“; 22.25 ქართული მხატვრული ფილმი; 00.00 „ქვიშის საათი“;

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“; 19.20 მულტფილმები, „დაბრუნება ედენში“; საყმაწვილო დღიური, სპორტული ესტაფეტა, სახე; 21.30 „ინფორმაცია მეორე არხი“, რეკლამა; 22.00 მხ/ფ „ოქროს თითი“ დასასრულს კლიპ მიქსი.

**ОРТ** 16.20 Мультсериал 16.45 Марафон 15 17.05 “Звездный час“ 17.40 “Нико и его друзья“ 18.10 “...До шестнадцати и старше“ 18.35 Вокруг света 19.20 “Девушка, по имени судьба“ 20.10 Час пик 20.35 “Угадай мелодию“ 21.00 Программа Познера “Мы“ 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время 22.45 Сериал “Полтергеист - 2“ 23.40 Видеофильм к юбилею актера А.Калягина 00.10 Х/Ф “Преждевременный человек“ 02.00 “Пресс-экспресс“

**РТР** 8.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести 8.15. 9.15 “С добрым утром!“ 10.05, 17.25 “Клубничка “ 10.35 “Сам себе режиссер “ 11.10, 20.00 “Санта-барбара “ 12.15 Парламентский вестник 12.45 “Графоман “ 13.00 Х/Ф “Миргород и его обитатели “ 14.20 Док. фильм 14.40 “Ретрошлягер “ 14.55 Магазин недвижимости 15.25 “Богема “ 16.05 Иванов, Петров, Сидоров и др. 16.45 “Вместе “ 17.10 “Красная книга “ 18.55 Там-там новости 18.25 Лукоморье 18.50 Посмотри на себя 19.05 “Пульс “ 19.35 “Россияне “ 21.35 Добрый вечер с И.Угольниковым 22.20 Х/Ф “Кооператив “политбюро “, или будет долгим прошанье “ 00.30 “Точка опоры “ 00.40 “На коне “ 00.55 Дежурная часть 01.25 “Эх, дороги “ 02.05 “На ночь гляди “ 02.15 Товары-почтой

## სამშაბათი, 20 მაისი

**1** 8.00 „ალიონი“; 18.00 „მოამბე“; 18.10 „მესაკუთრე“; 18.25 მაქვს უფლება უთვალავი ფერითა 19.00 XXI 19.40 ავტოგრაფი 20.00 „მოამბე“; 20.35 რეკლამა 20.40 აუდიენცია 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი“; 21.05 ლატარია „მეათე“ 21.10 პროგრამა „დღე“; 21.10 „კასანდრა“ 22.00 „ვესტნიკი“; 22.25 „ასპარეზი“ 22.40 „ТБС “ 23.50 „ქვიშის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია II არხი“; 19.20 მულტფილმები, „დაბრუნება ედენში“, სპორტული გადაცემა „გოლი“; „პოდიუმი“. „ეკრანული წყვილები“; 22.00 „ინფორმაცია II არხი“. რეკლამა; 22.30 მხ/ფ „დუმილი ოქროა“ დასასრულს მუსიკა.

**ОРТ** 07.00 Телеканал “Доброе утро“ 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.15, 19.20 Сериал “Девушка, по имени судьба“ 11.40 “Смехопанорама“ 12.00 Домашняя библиотека 12.30, 20.35 Угадай мелодию 13.15 Х/Ф “Под знаком скорпиона“ 14.30 “Служу России“ 15.00 Америка с М.Таратутой 15.25 Футбольное обозрение 16.20 Мультсериал 16.45 Кварьете “Веселая квампания“ 16.55 Мультитролия 17.15 Волшебный мир, или Синема 17.40 “Нико и его друзья“ 18.10 “...До шестнадцати и старше“ 18.35 Вокруг света 20.05 Погода 20.10 Час пик 21.00 “Тема“ 21.45 Спокойной ночи, малыши! 22.00 Время 22.45 Х/Ф “Ночной патруль“ 00.35 Футбол Кубок России “Крылья Советов“ (Самара) - “Ротор“ (Волгоград) 02.25 Пресс-экспресс.

**РТР** 08.00, 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 21.00, 00.00 Вести. 8.15, 9.15 “С добрым утром“ 10.05, 17.25 “Клубничка “ 10.30 Караоке по-русски 11.00, 20.00 “Санта-барбара“ 11.40 Мультфильмы 12.15 Пульс 12.40 “Графоман“ 15.20 Арена для сенсаций 15.50 Иванов, Петров, Сидоров и др. 16.30 Образ жизни 17.00 Красная книга 17.15 Мультфильм 18.15 Там-там новости 18.25 Лукоморье 18.50 Посмотри на себя 19.05 Новое пятое колесо 19.35 “Россияне“ 21.35 Добрый вечер с И.Угольниковым 22.25 Х/Ф “Мужской зигзаг“ 00.35 “Точка опоры“ 00.45 Момент истины 01.20 Звуковая дорожка 02.15 На ночь глядя 02.25 Телемагазин 02.35 “Товары почтой “

## კაიფვორდი



მწოლიარედ: 1. წინადადების კუდი; 3. ჯოჯოხეთის გამნათებელი; 8. ყვავის დობილი, რომელიც არ გათეთრდების; 9. მშიშარა კაცის შესაძრომი; 14. მართლის მთქმელის გადამრჩენელი; 15. ვირიშვილის მოსაფერებელი სახელი; 17. სილის გასატკაცუნებელი; 20. ამფიბია „სუპერხელიკი“; 22. სოფლელი გოიმი; 23. „პონის“ დასაბანი; 25. მძღოლების „ბაბაიაგა“; 26. ყაჩაღად გავარდნილის მპოვნელი მწერალი; 27. „სარიეით“ სწორი ქალი; 28. „უმალ“ დასაძინებელი; 29. მისამღერი კინოფილმში „არ იდარდო“; 30. ტვინის შესანახი გოგრა; 31. მსოფლიო მნიშვნელობის „ბაბნიკი“.

მდგომიარედ: 1. „წესიერი“ ხალხის სოფელი რაჭაში; 2. პატარა ირაკლი; 3. „კუზიანთა“ დაჯგუფება; 4. ეგოისტი ნაცვალსახელი; 5. „რეტდასასხმელი“ სურათი; 6. ზოგისთვის საქეიფო, ზოგისთვის წელმოსაწყვეტი; 7. დანაკარგის მპოვნელი მწერი; 10. მუშტად შეკრული მედიდურობა, ყოყლოჩინობა და ქედმაღლობა; 11. კვირის ყველაზე გრძელი დღე; 12. „ლილის გაპუტული“ მეგობარი; 13. „დოს“ ჩასასხმელი ჭურჭელი; 16. საყვარელი მამაკაცი (რუს.კავშ.); 18. ჩაძირული ცივილიზაცია; 19. „ასი თუ ათასი“ სანთებელა; 21. გრამიტონას საწყისი წონა; 24. „სიაში“ ჩაწერილი ვალი.

ნუნუ ლოლაშვილი

### წინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

მწოლიარედ: 1. მარილიანი; 4. ბრეჟნევი; 8. ქვა; 9. სიასამური; 10. ვარკეთილი; 12. ჭიანური; 13. ტოტი; 14. მზე; 17. ციცინათელა; 20. ალაპი; 28. სოლო; 29. გია; 30. ამური.

მდგომიარედ: 2. არაჟანი; 3. აირი; 4. ბრეხტი; 5. ჟანა; 6. ერეკლე; 7. ჭალი; 11. თხილი; 13. ტალახი; 15. ზავი; 16. მინდი; 17. ცაცია; 18. იაბო; 19. ადლი; 20. ანგალი; 21. სირჩა; 24. ლელო; 25. ჯამი.

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი «მზიური» გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე

თქვენ შეისწავლით MS Office პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში
- თანამედროვე პერსონალური კომპიუტერები და კვალიფიციური პედაგოგები
- საერთაშორისო სტანდარტის სასწავლო პროგრამები და მეთოდიკა
- ინტერნეტის საუკეთესო სერვისი World Wide Web
- სერთიფიკატი, რომელიც გზას გაგიხსნით პრესტიჟული სამსახურისაკენ

მისამართი: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60 ფაქსი: 29-49-61

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში, თამარაშვილის ქ.№11, მე-10 სართული, 5 ოთახიანი ბინა, ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით. ფასი 60000 დოლარი. ტელ. 23-26-83

იყიდება 2 ნახევრიანი ბინა 16 სართულიანის მე-4 სართულზე დიდი დიღმის I მრ-ში. საერთო ფართი 100 კვმ. გარემონტებულია უმაღლეს დონეზე. ტელ. 23-24-02 ფასი 30000 დოლარი.

იყიდება დუშეთის რ-ნ სოფ. ჭოპორტში 2 სართულიანი საგარაკო დაუმთავრებელი სახლი. მიწის ნაკვეთი 1000 კვმ ან იცვლება თბილისში ერთ ან ოროთახიან ბინაზე. ტელ. 34-46-11 პავლე, ლია

იყიდება არასტანდარტული 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვმ, რემონტით, სარდაფით, მანქანის სადგომით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37-77-50

იყიდება 1 ოთახიანი ბინა ვაკეში შატბერაშვილის №4, II სად., მე-2 სართული. ოთახის ფართი 23 კვმ სამზარეულო 9 კვმ ჭერის სიმაღლე 3.20, აივნით, სარდაფით, მანქანის სადგომი ადგილით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-46-36

სასწრაფოდ და იაფად იყიდება კუმისში 600 კვმ შემოღობილი საბაღე ნაკვეთი, პატარა ოდა სახლის ბეტონაჟზე. წყალგაყვანილობით, მდებარეობს დასავლეთ მხარეს. ფასი 400 $ ტელ. 31-20-14

იყიდება საკუთარი ორსართულიანი ახალი აშენებული სახლი მანსარდით. საცხოვრებელი ფართი 20 კვმ, ბაღი 300 კვმ მსხმოიარე ხეხილით. საჭიროებს შიდა რემონტს. საწ.ფასი 120000 ტელ. 31-20-14

იყიდება საკუთარი ორსართულიანი აგურის სახლი სასწრაფოდ და იაფად. საცხოვრებელი ფართი 190 კვმ, 604 კვმ ხეხილიანი ეზო. შედგება 8 ოთახისაგან, ორი სამზარეულო, ორი აბაზანა. ფასი 55000$ ტელ. 99-70-69 დღისით; ღამით 74-34-35 ქეთი

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური პროექტის სამოთახიანი ბინა, რკინის კარებით, სარდაფით, აფრიკაში, პირველ სართულზე. ფასი 6000$ ტელ. 71-68-19

იყიდება ან ქირავდება 2 სართულიანი კერძო სახლი უმაღლესი რემონტით. I სართულზე 4 ოთახი, სამზარეულო და ლოჯია სულ 120 კვმ, II სართულზე 4 ოთახი მაღალი ჭერით, დიდი ჰოლით, სამზარეულო და აბაზანით. ეზოში მანქანის სადგომით. საერთო ფართი სულ 200 კვმ, ფასი შეთანხმებით. ტელ. 92-09-61 მანია

იყიდება დიდ დიღომში ჩეხური 4 ოთახიანი სუფთა ბინა რკინის კარებით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 9000 დოლარი. ტელ. 66-52-85

იყიდება 5 ოთახიანი საკუთარი სახლი ბელეტაჟზე. მეტრო „300 არაგველების" გვერდით საბადურის ქუჩაზე. დიდი ეზოთი, ბაღით, სარდაფით, სათავსოებით. ფასი 55000 დოლარი. ტელ. 74-37-35

იყიდება 2 ოთახიანი ბელეტაჟზე დიდი შუშაბანდით, სულ 67 კვმ. ფართობით, აბაზანით და სამზარეულოთი. უმაღლესი რემონტით, ფასი 25000 დოლარი. ტელ. 92-09-61 მანია

იყიდება მაღალჭერიანი კარგად გარემონტებული 2 ოთახიანი ბინა წერეთლის გამზირზე, მეტროს პირდაპირ იტალიურ ეზოში, მე-2 სართულზე ტელეფონით, დამოუკიდებელი სველი წერტილებით. ტელ. 34-72-56

იყიდება 2 ოთახიანი, თანამედროვე სტილში გარემონტებული საოფისე ბინა, აღმაშენებლის გამზირზე, სომხეთის საელჩოსთან. ტელეფონით, I სართულზე. გამოდგება მაღაზიისათვის. ტელ. 96-69-75

იყიდება 3 ოთახიანი, გარემონტებული, მოსკოვის პროექტის ბინა თემქის დასახლების III მ/რ-ში, 9 სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. ტელეფონით, სარდაფით, ავტოსადგომით. ფასი 6000 დოლარი. ტელ. 96-69-75

იყიდება ორსართულიანი 5 ოთახიანი კერძო სახლი ბორჯომში ეზოთი და გარაჟით. ფასი 25000 ლარი ან იცვლება თბილისში 2 ოთახიანზე, თანხის დამატებით. ტელ. 36-56-40

იყიდება 4 ოთახიანი ბინა, ფონიჭალა - 3, ტელ. 74-44-75

ქირავდება თბილისის ცენტრში უნივერსიტეტის პირდაპირ ვარაზის ხევის დასაწყისში ოთახი ოფისისათვის ან მაღაზიისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-39-54 ზაირა

იყიდება არასტანდარტული 3 ოთახიანი ბინა დიდი ფართით, ახალი გარემონტებული, ანაგის ქუჩა (ყოფილი შარტავას) №28-ში, მაღალ ბელეტაჟზე. ფასი 55000 დოლარი. ტელ. 61-25-48 ან 61-11-39

იყიდება კერძო სახლი ვეძისში. ფასი 170000 დოლარი. ტელ. 38-35-59

იყიდება 3 სართულიანი მშენებარე სახლი საბურთალოზე. იაშვილის ქ.№5, ეზოთი და ხეხილით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-94-31

ვყიდი 8 ოთახიან ბინას ქალაქის ცენტრში დიდი ლოჯიით, ორი საპირფარეშოთი და აბაზანით, 3 ტელეფონით. ჭერის სიმაღლე 5 მ. მთლიანი ფართობი 280 კვმ, ბინას სჭირდება კოსმეტიკური რემონტი აქვს ორი შესასვლელი სადარბაზოდან და ეზოდან. სართული მე-3. ტელ. 99-61-33 ფასი 150000 $

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა ფონიჭალაში. ზოოვეტინსტიტუტის დასახლება, 9 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე ნაკვეთით, ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-68-68; 22-03-28

იყიდება 2 სართულიანი, საუკეთესოდ გარემონტებული კაპიტალური სახლი ლოტკინზე. ლაითურის ქუჩაზე. საცხოვრებელი ფართი 200 კვმ, დამხმარე სათავსოებით, 400 კვმ კეთილმოწყობილი ხეხილიანი ეზოთი. ტელ. 23-51-52

იყიდება 2 ოთახიანი ბინა, ვაჟაფშაველას გამზირზე. მაღალი ბელეტაჟით, სამი სარდაფით, ავტოფარეხით. მაღალჭერიანი. ფასი 23000 დოლარი. ტელ. 31-01-89; 93-59-07

სასწრაფოდ იყიდება 1 ოთახიანი ბინა ყოფ. ბარნოვის, ამჟამად აბაშიძის ქუჩაზე. ოთახის ფართობი 22 კვმ., სამზარეულო 12 კვმ ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-28-66

იყიდება პრივატიზებული 3 სართულიანი საცხოვრებელი შენობა ვერაზე. პრესტიჟულ, ეკოლოგიურად სუფთა წყნარ ადგილას. კერძო პირისათვის, საელჩოსათვის ან საზღვარგარეთის ორგანიზაციისათვის. შენობა აგურისაა, ინდივიდუალური პროექტით აშენებული. საერთო ფართი 800 კვმ, მიწის ნაკვეთი 2500 კვმ, შენობის სიმძლავრე იძლევა დაშენების საშუალებას. ფასი შეთანხმებით. ტელ. 23-19-89; 23-16-52

იყიდება 600 კვმ სააგარაკო მიწის ნაკვეთი. დგას ორსართულიანი სახლი, ბლოკით ნაშენი. აქვს ლოჯია, მარანი. ეზოშიეა გარაჟი, გარაჟზე დაშენებულია მეორე სართული - სათავსოებით. ნაკვეთი არის ყველაფრით უზრუნველყოფილი, ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით. მდებარეობს პლასტმასის ქარხნის ნაკვეთების ტერიტორიაზე. საწყისი ფასი 18000$ ტელ. 62-24-26 (9 საათის შემდეგ)

## სხვადასხვა

სასწრაფოდ შევისყიდი გერმანული ან ჩეხური წარმოების გიტარას შელავათიან ფასებში. ტელ. 64-76-77 მაიკო

იყიდება სხვადასხვა ფერისა და ზომის გემოვნებით გაფორმებული აბაჟურები ტორშერზე. ლამფებზე და ჭერზე ჩამოსაკიდი. ტელ. 99-02-73

ვაკეთებ რემონტს, ავეჯის რესტავრაციას და ვკერავთ მასზე შალითებს. ტელ. 98-49-67 გივი

იყიდება ძალიან იაფად ახალი ირანული საძინებელი და სამეული. ტელ. 63-36-13

იყიდება გერმანული პიანინო „როინიში". ფასი 560 დოლარი. ტელ. 38-35-59 ნანა

იყიდება 2 ფაქტურიანი საქსოვი მანქანა „ტოიოტა", უხმარი, ფასი შეთანხმებით. ტელ. 68-31-97 იკითხეთ მედიკო

ვყიდით რუმინულ ავეჯს „მირელა", სამეულით. ფასი 2000 დოლარი. ტელ. 63-74-54 გიორგი

სასწრაფოდ იყიდება ჯიშიანი ჯუჯა ძაღლი პუდელი, შავი ფერის. ფასი 70 დოლარი. ტელ. 22-52-54 მაია

იყიდება კარადა დესაო კომპლექტი და „გორკა" ვიტრაჟით. ჩეხური. კარგ მდგომარეობაში. ფასი 150 ლარი. ორივე ერთად 300 ლარი. ტელ. 72-47-48 ალიკა

იყიდება არაბული სამეული მისაღებისათვის. ფასი 800 დოლარი. იყიდება ორი სავარძელი. ფასი 400 დოლარი. ტელ. 61-25-48 ან 61-11-39

იყიდება საფლავის ქვები - „ჟიტომირის გაბრო", შავი ფერის, დამუშავებული, პალირებული, უდეფექტო. სიგრძე მინიმალური 170 სმ, მაქსიმალური 210 სმ. ტელ. 38-35-59 გიორგი

იყიდება ანტიკვარული ავეჯი „სეკრეტერი", მე-19 საუკუნის, ლანგეს სახელოსნო, პეტერბურგი. საწყისი ფასი 5000 დოლარი; შავი ხის ორი სავარძელი და მაგიდა. საწყისი ფასი 2500 დოლარი; ტელ. 98-43-14 რუსიკო

## ვულოცავთ

### ელეონორა ჩარკვიანს!

ჩემო კარგო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებას, სიხარულს და წმინდა სიყვარულს პირად ცხოვრებაში.

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

# ტ

ტაბარუკიშვილი - 33 (თელავი - 11; თბილისი - 4; ახალგორი - 1);

ტაბაძე - 26 (ახალქალაქი - 8; თბილისი - 6; საჩხერე - 5);

ტაბახია - 36 (ბათუმი - 9; ქედა - 1; ხელვაჩაური - 26);

ტაბუაშვილი - 20 (გარდაბანი - 5; თბილისი - 3; რუსთავი - 3);

ტაველაშვილი - 21 (გურჯაანი - 11; თბილისი - 9; ლაგოდეხი - 1);

ტაველიძე - 50 (გორი - 45; სიღნაღი - 2; თეთრიწყარო - 1);

ტაველური - 28 (მცხეთა - 15; თბილისი - 10; ქუთაისი - 3);

ტალიკაშვილი - 40 (გარდაბანი - 23; ახმეტა - 3; თბილისი - 14);

ტალიური - 22 (თელავი - 13; თბილისი - 8; რუსთავი - 1);

ტარასაშვილი - 26 (გურჯაანი - 1; თბილისი - 25);

ტარაშვილი - 23 (თბილისი - 11; გურჯაანი - 4; დედოფლისწყარო - 1);

ტარელაშვილი - 44 (გორი - 24; თბილისი - 6; ლაგოდეხი - 4);

ტარიელიძე - 29 (დედოფლისწყარო - 10; თერჯოლა - 7; ოზურგეთი - 5); ტატაშვილი - 35 (თბილისი - 20; გორი - 5; რუსთავი - 4);

ტატაშიძე - 24 (საჩხერე - 10; ლაგოდეხი - 3; რუსთავი - 2);

ტბელიშვილი - 23 (თბილისი - 10; საგარეჯო - 13);

ტერმელაშვილი - 24 (გორი - 22; თბილისი - 2);

ტეტებოშვილი - 33 (თელავი - 10: თბილისი - 2; ყვარელი - 21):

ტეტოშვილი - 47 (გურჯაანი 20; თბილისი - 3; ყვარელი - 24):

ტეცოშვილი - 31 (თბილისი 31);

ტეხიშვილი - 21 (ახმეტა - 10: თბილისი - 11);

ტეირთაშვილი - 33 (თელავი 26; ახმეტა - 3; თერჯოლა - 1);

ტიბუნაშვილი - 50 (თბილისი - 20; ახმეტა - 12; თიანეთი - 8);

ტიკოშვილი - 43 (თბილისი - 22; თელავი - 16; ახმეტა - 3);

ტკეაცირია - 26 (თბილისი - 2; სამტრედია - 24);

ტლაშიძე - 29 (ამბროლაური - 15; ტყიბული - 9; სამტრედია - 2);

ტოგოშვილი - 34 (თბილისი - 28; გარდაბანი - 2; ახმეტა - 2);

ტოზაშვილი - 28 (თბილისი - 16; თელავი - 5; სიღნაღი - 7);

ტოკლიკაშვილი - 42 (დედოფლისწყარო - 23; თბილისი - 12; ლაგოდეხი - 2);

ტოპრაკაშვილი - 36 (მცხეთა - 20; თბილისი - 5; კასპი - 2);

ტოროლაშვილი - 28 (ახმეტა - 13; თბილისი - 1; თელავი - 14);

ტორუაშვილი - 28 (თბილისი - 3; გორი - 1; კასპი - 24);

ტოსტიაშვილი - 24 (ყვარელი - 11; თბილისი - 5; რუსთავი - 3);

ტოტოლაშვილი - 35 (გარდაბანი - 2; თბილისი - 33);

ტოხისაშვილი - 24 (ახმეტა - 24);

ტოხიშვილი - 46 (დედოფლისწყარო - 30; დუშეთი - 4; თბილისი - 4);

ტუზურიძე - 29 (ტყიბული - 20; თერჯოლა - 6; ფოთი - 1);

ტუკოშვილი - 41 (ყვარელი - 41);

ტუნტურიშვილი - 25 (დუშეთი - 10; თბილისი - 10; თიანეთი - 5);

ტურიშვილი - 37 (თბილისი - 27; ახმეტა - 7; გურჯაანი - 2);

ტურტულაძე - 34 (კასპი - 14; თბილისი - 10; რუსთავი - 1);

ტუსაშვილი - 45 (დედოფლისწყარო - 15; გურჯაანი - 12; თბილისი - 8);

ტუსკია - 37 (ბათუმი - 21; თბილისი - 15; ლანჩხუთი - 1);

ტუტუნაშვილი - 33 (თბილისი - 14; გორი - 10; თიანეთი - 6);

ტუქსიშვილი - 31 (თბილისი - 15; დედოფლისწყარო - 8; დუშეთი - 4);

ტუღიძე - 24 (გორი - 24);

ტუხიშვილი - 44 (თელავი - 23; თბილისი - 12; ახმეტა - 3);

ტყავაშვილი - 43 (გურჯაანი - 27; თბილისი - 13; რუსთავი - 3).


ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service

აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო და საბუღალტრო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5, II სართული. ტელ. 93-15-89

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს
დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41


# ჰოროსკოპი

## 17-21 მაისი

**ვერძი** - მიხედეთ ჯანმრთელობას, თორემ ცუდი ხასიათი და აგრესიულობა ძნელად მოგშორდებათ.

**კურო** - ნუ გადაიღლებით და ნუ ეჩხუბებით გარშემომყოფებს მიხედეთ ჯანმრთელობას.

**ტყუპები** - სიყვარულის, სიხარულის დღეები დგას, მაგრამ თავი გაართვით თქვენს ეჭვიანობას.

**კიბო** - მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობამ გადაღლა იცის, დაისვენეთ, ნუღარ დალევთ და მიხედეთ ჯანმრთელობას.

**ლომი** - საქმიანი საუბრების შემდეგ ოჯახს მიხედეთ, დრო გექნებათ განვლილ ცხოვრებას ჩაუფიქრდეთ და მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება.

**ქალწული** - მიხედეთ ჯანმრთელობას, რადგან მომავალ დღეებში განუწყვეტელი საქმიანი საუბრები გელოდებათ.

**სასწორი** - მოგზაურობა თქვენთვის მომგებიანიც იქნება და სასიხარულოც.

**ღრიანკალი** - მოუფრთხილდით ჯანმრთელობას და მოერიდეთ უფროსებთან კონფლიქტს.

**მშვილდოსანი** - სიხარულით შეუდექით მუშაობას, მაგრამ ავანტურას მოერიდეთ.

**თხის რქა** - ჯანმრთელობას მიხედეთ, მძიმე დღეებია თქვენთვის, ატმოსფერული წნევის თამაში თქვენზე ნეგატიურად მოქმედებს.

**მერწყული** - გაემგზავრეთ სადმე, ეს კარგი ნაბიჯი იქნება თქვენი მომავლისათვის და ახალ ცოდნასაც შეიძენთ.

**თევზები** - გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, განმარტოვდით და მოერიდეთ ხალხმრავალ დროსტარებასა და ქეიფს.

# ლატარეა ყველასათვის

## 16 მაისს გამართულ მორიგ გირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 587203; | 20 ლარი – **7824; |
| 1000 ლარი – 499347; | 10 ლარი – ***583; |
| 100 ლარი – **2119; | 10 ლარი – ***309; |
| 100 ლარი – *96317; | 5 ლარი – ***482; |
| 50 ლარი – **9151; | 5 ლარი – ***662; |
| 25 ლარი – **9466; | 5 ლარი – ***543. |

ლატარიის ერთი ბილეთი მოიგო მან ვისი ბილეთის ნომრის ბოლო ციფრია 5

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეცხრამეტე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის XIX ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **3844; 7926;** გათამაშებაზე შეუძლიათ 23 მაისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა **„სუზუკი“** მოიგო ლატარიის ბილეთმა **№556481.** ტრაქტორი მოიგო ლატარიის ბილეთმა **№212201**

## დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“ 1997 წლის მეორე ნახევრისათვის.

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნე“-ს (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში. შეგახსენებთ მისამართებს:

- *მოსკოვის გამზირი 18 ტელ. 71-32-87*
- *გლდანის რ-ნი, დუმბაძის 4ა კორპ. ტელ. 62-75-32*
- *დ.გურამიშვილის გამზ. №30 ტელ. 60-80-22*
- *ი.ჯავახიშვილის (ყოფ.კალინინის) ქ.14 ტელ. 95-87-36*
- *ქეთევან წამებულის (ყოფ.შაუმიანის) გამზ. 61 ტელ. 74-14-47*
- *აკ.წერეთლის გამზ. 73 ტელ. 34-75-51*
- *რ.თაბუკაშვილის ქ.№12*
- *ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ.42 ტელ. 37-47-49; 93-43-97*
- *ჭავჭავაძის გამზ. 46 ტელ. 22-64-58*

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა; „მაცნე“-გარანტია ხელმომწერისათვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების. ენდეთ ხელმოწერაში „მაცნე“-ს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

## ● სამიჯნურო ბარათები

*იოჰან შილერი (1759-1805) 28 წლისა იყო, როდესაც გაეცნო 23 წლის შარლოტა ლენგეფელდს, და, სამი წლის შემდეგ, 1790 წელს კიდევაც შეირთო. ამ ქორწინებამ წერტილი დაუსვა ახალგაზრდა პოეტის მოხეტიალე და ხელმოკლეობით გამორჩეულ ცხოვრების პერიოდს. ლოტას, ლოტას დის – კაროლინას და სასიდედროს მისამართით გაგზავნილ წერილებში ასახულია შილერის რომანტიკული შეხედულებანი სიყვარულსა და მეგობრობაზე.*

### შილერი — ლოტას

*3 აგვისტო, 1787 წ.*

მართალია ეს, ძვირფასო ლოტა? მქონდეს იმის იმედი, რომ კაროლინამ თქვენს სულში ამოიკითხა და თქვენს გულში აღმოაჩინა ის, რის გამხელასაც საკუთარ თავსაც ვერ ვუბედავდი? ო, რა აუტანელი მეჩვენებოდა ის საიდუმლო, რომელმაც იმ წუთიდანვე დაიბუდა ჩემში, ერთმანეთს რომ გავეცანით!.. ჯერ კიდევ მაშინ, ყველანი რომ ერთად ვიყავით: შენც, კაროლინაც და დედაშენიც, ბევრჯერ მომიხმია გამბედაობა და მოვსულვარ თქვენთან ამ საიდუმლოს გასამხელად, მაგრამ იგივე გამბედაობა სულ მუდამ მღალატობდა. იცით, რატომ? იმ ჩემს წადილში რაღაცნაირ ეგოიზმს ვხედავდი, მეჩვენებოდა, თითქოს მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე ვფიქრობდი და მაშინებდა ეს. თუ ვერ შევძლებდი, თქვენთვის იგივე გავმხდარიყავი, რაც თქვენ იყავით ჩემთვის, მაშინ, ალბათ, ჩემი ტანჯვა-წამება მხოლოდ და მხოლოდ გულს გატკენდათ და ჩემი აღსარებით კი დავარღვევდი ჩვენი ურთიერთობის მშვენიერ ჰარმონიას, იმასაც დავკარგავდი, რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა – თქვენს სპეტაკ, და-ძმურ დამოკიდებულებას.

ამის მიუხედავად, მაინც იყო წუთები, როდესაც ის ბედნიერება, რომელიც ერთმანეთისათვის შეგვეძლო გვებოძა, ყოველ განსჯაზე მაღლა მეჩვენებოდა და უდრტვინველად შემეძლო მისთვის ყველაფერი შემეწირა. თქვენ ნამდვილად შეგეძლოთ, ბედნიერი ყოფილიყავით უჩემოდ, მაგრამ თავის დღეში არ იქნებოდით უბედური ჩემს გამო!.. მაშინ სულ ამაზე ვფიქრობდი დაძაბულად და ჩემს იმედებსაც სწორედ ამის გათვალისწინებით ვაგებდი. თქვენ შეგეძლოთ სხვისთვის მიგეცათ ხელი, მაგრამ, ვფიცავ, ვერავინ შეძლებდა ჩემზე უმწიკვლოდ და ჩემზე ნაზად თქვენს შეყვარებას!.. მთელს დუნიაზე არავისთვის იქნებოდა თქვენი ბედნიერება უფრო წმიდათაწმიდა, ვიდრე იგი იყო და აწიც იქნება ჩემთვის!.. მთელს ჩემს არსებას, ყველაფერს, რაიც ჩემში ცოცხლობს, ყველაფერ იმ ძვირფასს, რაიც ჩემშია, თქვენ გიძღვნით და, თუკი იმას ვლამობ, რომ უფრო კეთილშობილი გავხდე, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენი ღირსი ვიყო, რომ ამით თქვენ იგრძნოთ უფრო ბედნიერად თავი!.. მეგობრობისა და სიყვარულის მყარი საყრდენი – ამაღლებული სულია. ამიტომაც, ჩვენი მეგობრობა და სიყვარული ისევე ურყევი და მარადიულია, როგორც ჩვენივე გრძნობები, რომელზეც ისინი დაგვიფუძნებია.

დაივიწყეთ ყოველი, რაიც კი თქვენს გულს არ ესალბუნება და მხოლოდ ნაზ გრძნობებს მიეცით ასპარეზი. დამიდასტურეთ ის, რისი იმედიც კაროლინამ მახარა, თქვით, რომ მე მეკუთვნით და რომ ჩემი ბედნიერება თქვენგან მსხვერპლს არ მოითხოვს. რა იქნება, დამარწმუნოთ ამაში ერთი, ერთადერთი სიტყვით!.. ჩვენი გულები ხომ კაი ხანია, ერთმანეთს ცნობენ. დე, მოგვცილებოდეს ეს ერთადერთი უცხო რაღაც, აქამომდე რომ ჩვენს შორის იდგა და დე ნურარასოდეს შეეშალოს ხელი ჩვენი სულების შეერთებისათვის!..

ნახვამდის, ძვირფასო ლოტა. მოუთმენლად ვინატრი იმ დამამშვიდებელ წამს, ოდეს შემეძლება მთელი გრძნობები გადმოგიშალოთ; ის გრძნობები, რომლებიც დროის ხანმოკლე მონაკვეთში არა და არ მტოვებდა და ჩემს სულში ვულკანივით მფეთქავი სიყვარული ხან ბედნიერებას მაზიარებდა, ხან ისევ უბედურს მხდიდა. რომ იცოდეთ, რა ბევრი რამ მაქვს, ლოტა, სათქმელი!..

გამათავისუფლეთ ერთხელ და სამუდამოდ ვნებათაღელვისაგან. მთელი ჩემი ბედნიერება თქვენს ხელთაა!.. ახ, კაი ხანია, ამ ბედნიერებას მხოლოდ თქვენს არსებაში ვიგულვი. ნახვამდის, ძვირფასო.

### შარლოტა — შილერს

[illegible] დღეს, დილაუთენია, [illegible] ფარდებზე, [illegible] ლოგინიდან. ფანჯარას ვეცვროდი იმ იმედით, შენ რომ დამენახე, მაგრამ ამაოდ: სამივეჯერ გაძეძგილი ტომრებით საველე მეწისქვილის საზიდავი გამოდგა, შენი ეტლი კი არა. ბოლოს, როგორც იქნა, მეოთხედ რომ ავდექი, შენ იყავი!.. ადრე ბაზარშიც მოგკარი თვალი! გულაჩქროლებული გითვალთვალებდი, სანამ კუთხეს არ მოეფარებოდი. მოეფარე და ჩემი გულიც თან წაიყოლე, ჩემო ძვირფასო.

გუშინ რა შესანიშნავი, თბილი დღე იყო და რა ბედნიერებიც ვიყავით!.. ასეთი თბილი დღეები მომავალშიც ხშირად განმეორდება, მწამს. კაცმა რომ თქვას, ცხოვრებაც ამას ჰქვია – განუწყვეტლივ ეძლეოდე ტრფობის ალმურს!.. ამის გარეშე ხომ სულს ვერ მოითქვამს ადამიანი!..

ეს წუთია, ვისადილე, თანაც მარტოდმარტო, ვინაიდან ლინა სამეფო კარზე იყო მიპატიჟებული. საღამოს მეც წავალ. რომ იცოდე, როგორ მეუხერხულება ხალხში ყოფნა, როცა გავიფიქრებ, რომ, წესით და რიგით, შენთან ერთად უნდა ვიყო!.. ასეთ დროს, ისინი ლანდებივით მიდი-მოდიან ჩემს გარშემო და მათი რეალური შეგრძნება სულაც არ ეპიტნავება ჩემს გულს, რადგან იგი მარტო შენითაა სავსე!..

რა უნდა აკეთო დღეს? ახ, როგორ მინდა ყოველ წუთს ვიცოდე, რას აკეთებ!

გუშინ მეტად მკაფიო და ნათელი გეგმები დავისახე. ყოჩაღ ჩვენ!.. მჯერა, ყოველივე აგვისრულდება!.. თუკი შენ რ-ში კარგად გრძნობ თავს და თუკი იმის იმედიც გაქვს, რომ სამომავლოდ არაფერს კარგავ – ყველაფერი მოგვარდება! ჩემი კეთილი მამიკოც, იმედი მაქვს, დამშვიდდება შენი ახსნა-განმარტებებით და იმის შეგნებითაც, რომ შენ ჩვენს გარემოცვაში ლაღად გრძნობ თავს, რომ ბედნიერი ხარ. ხომ მართლა იქნები ბედნიერი, ჩემო სიყვარულო? ო, იმის წარმოდგენა, რომ მე შემეძლება შენი გახარება, შემეძლება განგაცდევინო საოცნებო წუთები, ფრთებს ასხამს ჩემს სულს!..

# კროსვორდი



შვეულად: 1. ჩოგბურთში პარტიის ნაწილი, ქულათა გარკვეული რაოდენობა; 2. მეტრული მუსიკალური ერთეული; 3. მდინარე ევროპაში; 4. უქოჩრო გრძელბოლოიანი თუთიყუში; 5. ლაშქრობაში ნაშოვარი ქონება – ნადავლი; 8. სიყვარულის ღვთაება; 12. მხარე გერმანიაში; 13. ქიმიური ელემენტი; 14. ფილოსოფიური მეცნიერება ზნეობის, მორალის შესახებ; 15. არგენტინელი ფეხბურთელი 80-იან წლებში; 18. პარტიული ფორუმი; 19. მნათობთა ფიზიკური ბუნების შემსწავლელი მეცნიერება; 21. ქართველი მწერალი; 23. სანტიმეტრის მეასმილიონედი; 26. ელემენტის უმცირესი ნაწილაკი; 28. ცხოველთა სამყარო; 35. ელექტრომაგნიტური ტალღა; 37. ნახევარკუნძული აზიაში, რომელიც მოქმედების ადგილადაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანში“; 41. ქვეყანა აფრიკაში; 42. სარწყავი არხის სახელი შუა აზიაში; 48. ციფრი; 49. მცენარეთა სამყარო; 50. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; 51. წრეწირის ნაწილი; 52. სუნთქვის დროებითი შეჩერება; 53. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

თარაზულად: 5. დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ან მთვარის ორბიტის წერტილი, რომელიც დედამიწის ცენტრიდან მაქსიმალურადაა დაშორებული; 6. ეთიოპიის ხალხთა უძველესი ჯგუფი; 7. ქართველი სახალხო გმირი; 9. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი; 10. დარტყმების შესარბილებელი მოწყობილობა; 11. მდინარე, რომელსაც „ვჭამთ“. 16. ხუროთმოძღვრების ძეგლი საქართველოში (XVI-XVII სს.); 17. ქრისტეს დაბადების ადგილი; 20. იუპიტერის უახლოესი თანამგზავრი; 22. ოპტიკური ხელსაწყო; 24. მუსიკალური ბგერა; 25. სოფელი ახალქალაქის რაიონში; 27. ბერძნული ანბანის ასო; 29. საშენი მასალა; 30. ქიმიური ელემენტი; 31. ქვეყანა აფრიკაში; 32. პიონერთა ბანაკი ყირიმში; 33. მუსიკალური ბგერა; 34. უნგრელი პოეტი; 35. სოფელი გაგრაში; 36. სოფელი სიღნაღის რაიონში; 38. წონის ერთეული ძველ რომში; 39. უდიდესი მდინარე იტალიაში; 40. მდინარე ინგლისში; 43. რიცხვი, რომელიც გამოსახავს წრეწირის სიგრძის დიამეტრთან შეფარდებას; 44. ნივთიერების თავისთავადი გამოსხივების მოვლენა; 45. ჯავშნიანი ცხოველი; 46. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი; 47. საგამოცდო ბილეთის ნაწილი; 54. წერწეტი ქალის აღმნიშვნელი მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“; 55. მეცნიერული გამოცემა, ჩვეულებრივი ლექსიკონის სახით; 56. გეომეტრიული ფიგურა; 57. ქვეყანა ევროპაში; 58. თევზის სახეობა; 59. ერთი პირობითი სახელწოდებით გაერთიანებული გარკვეული ხასიათის როლები, რომლებიც შეესაბამება ამა თუ იმ მსახიობის ნიჭის თავისებურებას.

**პაატა კაღუა**

## ნინა ნომერში დაბეჭდილი ისტორიული ჯვარედის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ელი; 7. მოურავი; 8. ათონელი; 11. ტრაპიზონი; 14. გიში; 17. თორი; 18. თრაკია; 19. ნასერი; 22. ისტორია; 23. ბოდბე; 24. ბასიანი; 287 ტაიპინი; 29. აბაშიძე; 31. ლორე; 32. როქი; 33. სარგისი; 36. სეიმონი; 40. ბორმანი; 41. ანამი; 42. პრასადი; 45. აბრამი; 46. დიდთი; 47. ჭანი; 48. მორი; 50. კაპადოკია; 53. ვარიაგი; 54. ანტანტა; 55. გოა

ვერტიკალურად: 1. ყუმი; 2. კვირიკე; 47 ლაზი; 5. ათანასე; 6. ბედი; 9. ამისოსი; 10. შარდენი; 12. პლატონი; 13. ზენობია; 15. არჩილი; 16. არტაგი; 20. მონტესუმა; 21. ტიბერიუსი; 25. ლიდია; 26. კარია; 27. ალი; 30. შიო; 34. რუნები; 35. იბნსინა; 36. სამადლო; 37. ოფრეთი; 38. კოლჩაკი; 39. ედუარდი; 43. ფალანგა; 44. ალბიონი; 49. ბური; 51. დოდო; 52. პუნი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444